108/3
1902

აპრილი, № IV, 1902 წელი.

მოგზაური

წელიწადი მეოთხე.

თბილისი
სტამბა გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ივ. ხელაძისა, ლოთ. მელ.
1902

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი № 4:

		გვერ.
1.	პირველ-ყოფილი ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ბ. კ.—ისა	215.
2.	მთიულთ ცხოვრებიდამ, ე. გუგუშვილისა . .	230.
3.	კლარჯეთის აღწერა, ზ. ჭ.—ძისა . . .	245.
4.	ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, ილ. ტატუნაშვილისა. . .	257.
5.	საქართველოს საეკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.	264.

წარსული წლის „მოგზაურის“ ყველა ნომრები, კარგის ფასით და წარწერით დიდს კაგზავნით სამი მანეთი.

აპრილი, № 4, 1902 წელი

მოგზაური

ისტორიული—არქეოლოგიური და გეოგრაფიული-ეთნოგრაფიული სურათებიანი

ჟურნალი, გამოვა ოთხელის თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

წლით—**ხუთი მანეთი**, ნახევარ წლით—**სამი მანეთი**.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნეს: *Въ Тифлисъ, въ Редакцію „МОГЗАУРИ“*.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ძმათა იმედაშვილების წიგნის მაღაზია, „ნდობის“ წიგნის მაღაზიაში (ქვაშვეთის გიორგის ქუჩაზე), დავით გაბრუაშვილთან „პურ-ღვინოს“ გვერდზედ და თვითონ რედაქტორთან (მამა დავითის მეიდანზე, სახლი № 20).

ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

„**მოგზაურის**“ ოთხელ ხელის-მომწერს აქვს უფლება დაბეჭდოს ამ ჟურნალში უფასოდ ოთხელ-გვარი განცხადება, არა უმეტეს ხახევარის გვერდისა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1902

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Марта, 1902 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ-ყოფილი ადამიანის გონებრივი მდგომარეობა.

(ზასოდიმსკი).

პირველ ყოფილი ადამიანის გონებრივი მდგომარეობა პირდაპირი შედეგი იყო მისი ფიზიკური ორგანიზაციისა. ფიზიკურად ძლიერი და ხასიათით მძვინვარე, გონებრივად სუსტი და უძლური, აი რა ჯურის ცხოველს წარმოადგენდა პირველ-ყოფილი ადამიანი. საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, საცხოვრებელი ბინა, ყველა ესენი რომ გავითვალისწინოთ, ჩვენ შევადგენთ დაახლოვებითს წარმოდგენას და აზრს პირველ-ყოფილ ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მისი დღევანდელი ინტელექტუალური, ანუ გონებრივი ფიზიონომია, უნდა განვიხილოთ დაბალ საფეხურზე მდგომ ველურების ცხოვრება, რომლებიც პირველ-ყოფილ ადამიანების ნიმუშებს წარმოადგენენ.

მეცნიერებამ განიხილა პირველ-ყოფილ ადამიანთა იარაღები, მათი სახლის მოწყობილობა, მათი ყოფა-ცხოვრება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი გონებრივი და ზნეობრივი მდგომარეობა ესაბამება მათ ღარიბ აღებ-მიცემას, ინდუსტრიას.

დღევანდელ ველურებში ბევრი არიან ისეთები, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სარწმუნოებაზე; არ იციან, თუ რა არის სარწმუნოებრივი გრძნობა, ღვთაება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთი. კანადის, ბრაზილიის და პარაგვაის მცხოვრებლების, კაფრების, გოტენტოტების და ტასმანიელთა ენაზე არ არსებობს სიტყვა „ღმერთი“, „შექმნა“. მათის აზრით, ყველაფერი თავის ნებით და თავის-თავად გაჩნდა ქვეყანაზე. მითური ანუ ზღაპრული გარდმოცემით პირველ ადამიანის დასაწყისი იყო სიზმარი. „არაფერი არ იყო,—ამბობს ერთი ინდოეთელი მოხუცი,—ყოველგან სიცალიერე, ყოველგან უფსკრული, არც მიწა იყო და არც ცა, არც ხმელეთი და არც ზღვა. უცებ გაჩნდა შვიდი მხედარი, რომლებიც მშვიდობიანობის ყალიონს ეწეოდნენ, ქალები კი მუშაობდნენ თავიანთ ქოხებშიო“. ეს ერის და ეს. არც ერთი სიტყვა ღვთაებაზე, არც ერთი სიტყვა ღმერთზე. „პირველად კაცობრიობის ცხოვრება იყო უგრძნობელი და შეუხამებელი“, —ამბობს რეკლე.

როგორც დღეს მრავალ ველურებს, ისე პირველ-ყოფილ ადამიანს არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია სულზე. ბეკერმა ლატუკაში მგზავრობის დროს განიზრახა ნეგრების ერთ წინამძღოლისთვის შთაეგონებინა საიქიოს ცხოვრებაზე წარმოდგენა, მაგრამ მისმა ცდამ და სურვილებმა ამაოდ ჩაიარეს.—„ნუ თუ შესაძლებელია მკვდარი საფლავიდგან აღსდგეს, უკეთუ ჩვენ მას მიწიდგან არ ამოვთხრით?“—უპასუხა წინამძღოლმა.

ბიუხნერსაც ხშირად მიუმართავს ასეთი კითხვებით ბანტოს ნეგრებისთვის, მაგრამ ყოველთვის ერთ და იმავე პასუხს ღებულობდა: „როცა მოკვდებით სულის-თქმა შეჩერდება, დაგვმარხავენ, ბოლოს მატლები დაგვესევიან და შეგვჭამენო“. კუინდლენდის მკვიდრთ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არც ღვთაებაზე, არც შემოქმედზე, არც ქვეყნის გამგეზე; არა აქვთ საგანი, რომელსაც თაყვანი სცენ. მათთვინ არ არსებობენ არც კერპები და მსხვერპლის შეწირვა, არც ეკკლესია და მონასტრები. მეორე მოგზაური, ბეკი, ამბობს: „არაფურებს არავითარი სარწმუნოება არა აქვთო. ერთხელ

შეეკითხე მათ: „ვის მიმართავთ ხოლმე საშველად, როცა თქვენს ხომალდს, ან ნავს ზღვაში დაღუპვა მოელის?“ მათმა უფროსმა გვიპასუხა, რომ მათ არ იციან განსაცდელის დროს ვის მიმართონ, სასურველი კია ვიცოდეთ და თუ თქვენ იცით გვასწავლეთო“. კალიფორნიის მცხოვრებლები არავითარ ღვთაებას არ სცემენ თაყვანს. „მე ვსცდილობდი—ამბობს მისიონერი ბეგერტი,—ამეხსნა მათთვის, თუ რა არის ღმერთი, სული, საიქიო და საქაო. ყოველი ღონე ვიხმარე, მაგრამ არა გამოვიდა-რა“. მათ ენაზე არ არსებობს სიტყვა „სული“, „ღმერთი“. ამერიკაში სცხოვრობს ხალხი, რომელიც მოკლებულია სულზე და უმაღლეს ქმნილებაზე წარმოდგენას. მოგზაურნი, მეცნიერნი, კათოლიკეთა მღვდლები, პროტესტანტთა მისიონერები, ყველანი იმ აზრის არიან, რომ არიან ისეთი ხალხნი, რომელთაც სრულებით არა აქვთ სარწმუნოება. ეს აზრი მით უფრო დასაჯერებელია, მით უფრო სარწმუნოა, რამდენადაც მის შედგენაში არ ურევიან რაიმე წინასწარ განზრახული მიზნით დაინტერესებული პირები.

რა თქმა უნდა, პირველ-ყოფილ ადამიანს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა სარწმუნოებაზე და არც შეეძლო ჰქონებოდა. ველურის პირველი სარწმუნოებრივი შემეცნება წარმოსდგება შიშისაგან, შეუძლებლობისაგან. ველურს ეშინოდა, შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა ყოველივე ის, რასაც შეეძლო ვნება, ან სიკვდილი მიეყენებინა მისთვის.

ველურს ეშინია ვეშაპის, რომელიც, მისი აზრით, მთელს კაცობრიობას შთანთქმას უქადის და ველურიც თაყვანს სცემს მას, გუნდრუკს უკმევს და მუხლ-მოდრეკით მსხვერპლს სწირავს. ადამიანი სცდილობს მაზე ძლიერი დაამშვიდოს, დააწყნაროს. სხვა გზა მისთვის არ არსებობს. როცა ის აღიჭურვება სხვა-და-სხვა იარაღებით ვეშაპთან; ან სხვა რომელიმე ნადირთან საბრძოლველად, მაშინ სცდილობს შეებრძოლოს და სძლიოს მას. ცხადია: ადამიანი ს�შაშ.რ ნადირთ თაყვანს სცემს მანამდე, სანამ ეს უკანასკნელნი არ დაჭკრგვენ მის

თვალში თავიანთ ძალიერებას. ბრამინები, მაგ., თაყვანს სცემენ სათვალეებიან გველს.

ბუნების საოცარი და მრისხანე მოვლენანი შიშის ჟრუანტელს ჰგვრიან ველურს. ის ძალა-უნებურად ემორჩილება ამ ძალის ზეგავლენას და მუხლს იდრეკს მის წინაშე, და მით აშკარად ხატავს თავის უძლურებას და სისუსტეს. როცა ველური ხედავს ელვას, ყურს უგდებს ჭექა-ქუხილს, რომელიც ძირიანათ სთხრის ვეებერთელა ხეებს და სიცოცხლეს უსპობს ადამიანებს, როცა ის ხედავს, თუ რას ჩადის ქარიშხალი ზღვაზე და ხმელეთზე,—ის თრთის, მუხლს იდრეკს უხილავი ძალის წინაშე, სცდილობს დაამშვიდოს ის. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, თუ რისთვის ჰყავთ მაგ. იერუბოებს ჭექა-ქუხილის ღმერთი, „შანგო“, რომელიც გზავნის დედამიწაზე მეხს. სლოვიანთა ერები დიდის ვაი-ვაგლახით მოშორდნენ თავიანთ ღმერთს „პერუნს“. რუსეთის ზოგიერთ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში დიდი ხანი არ არის რაც გავრცელებული იყო, ვითომც ელვასთან ერთად ქვესკნელში ძვრებიან ეშმაკები. ამ გვარ ცრუ-მორწმუნეობას დღესაც ვხედავთ ჩვენში: ელვის დროს მდაბიო ხალხი პირჯვარს იწერს და „დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკიო“, გაიძახის. ალბად ხალხს დღესაც აქვს ის წარმოდგენა, რომ ელვა ეშმაკისაგან ჩნდება და ვითომც მავნე სულებს გზას უნათებდეს. როცა მეხი გავარდება, უსათუოთ ეშმაკს დაეცემაო, ასე სჯიან სოფლის „ასტრონომები“. ჩვენში არის პოეტური რწმუნება, ვითომც ქუხილს „ილია“ აჩენდეს, როცა ის ეტლით დასეირნობს ღრუბლებში ხმაურობა ისმის და ეს ხმაურობა ქუხილიაო.

საზოგადოდ, ველური ძრწის მისი გონებისთვის მიუწდომელ მოვლენის წინაშე, რომლისგანაც ის განსაცდელს ელის. ყოველივე ასეთ მოვლენის წინაშე ველური გრძნობს თავის არარაობას და პირქვე ემხობა. ამ შიშმა, თავის არარაობის და უღონობის წარმოდგენამ წარმოშობა ბუნებრივი

სურვილი იპოვოს ველურმა საკმე დამცველი, გაჭირების და ხიფათის დროს დამხსნელი. ამ გვარად წარმოდგნენ ღმერთები, თილისმები, მსხვერპლები, რომლებიც დაედვენ საფუძვლად სარწმუნოებას და მის დაბალ ფორმას—ფეტიშიზმს. არ შეიძლება სარწმუნოება დავარქვათ იმას, რაიც პირდაპირი ნაყოფია შიშის და მისგან წარმომდგარი მოსაზრების.

ველური მადლობას სწირავს ქარს, რომ მან თევზაობის დროს მას ხელი არ შეუშალა, მადლობას უძღვნის ზღვას, რომელმაც ის არ შთანთქა და ხელი შეუწყო მის ცხოვრებას; ის თაყვანს სცემს ცას თავის დროზე წვიმის გამოგზავნისთვის; ეთაყვანება მზეს, რომელიც უნათებს და ათბობს მას და მთვარეს, რადგანც მზის ჩასვლის შემდეგ ის არის მისი გზის მაჩვენებელი. ამისდა გვარათ მეორე წყარო სარწმუნოებრივ გრძნობისა უნდა ვეძიოთ მადლობის გამოცხადებაში. გოტენტოტები ახლაც თაყვანს სცემენ მთვარეს *).

განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარი ველურები თან-და-თან უახლოვდებიან სარწმუნოებრივ შეხედულობას. ზოგიერთი ველურები ცას მამას ეძახიან და მიწას—დედას **). აფრიკის ნეგრების უმთავრესი ღმერთი არის ცა, რომელიც უგზავნის მათ დილის ნამს. ველურის თვალთა-ხედვის ისარი თან-და-თან ვითარდება; მას ებადება თავში წარმოდგენა ქვეყნის შექმნაზე, საიქიოზე და სულზე. ზულუსები დიდის პატივის-ცემით და თავაზიანობით იხსენიებენ მოხუცს უნკულუნკეროს, რომელმაც შექმნა ქვეყანა. ბრაზილიის ხალხთა შორის ერთი თქმულებაა: „თამეიდელი“ სცხოვრობდა მათ შორის, რომელმაც ასწავლა მათ მიწის მუშაობა და მერე

---

*) ჩვენშიაც ამბობენ: „ჩემმა მზემ“, „მზის მადლმა“, რაიცა ამტკიცებს, რომ ქართველობაც ერთ დროს თაყვანს სცემდა მზეს.

**) სიტყვა „დედა მიწა“ ამტკიცებს, რომ ჩვენც ოდესმე მიწას დედას ვუწოდებდით, როგორც ველურები, რაიც იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენც გაგვიგია ველურობის ხანა. კ. ბ.

ავიდა ცეხე, სადაც ღებულობს ის სიკვდილის შემდეგ ადამიანთა სულებს. ინდოელებს და მონგოლებს აქვთ გარდმოცემა, რომელიც ჩვენებურს წარღვნის ისტორიას წააგავს. „საშიშარი წარღვნის დროს ყველა სულდგმული ერთ დღეს დაიხოცა, დაიხრჩო. მარტო ერთი ადამიანი-და გადარჩა. ის ვეებართელა ნავით მიადგა ერთ მთას სოფლის მახლობლად და ავიდა ზედაო“. დაებადა თუ არა ველურს სულზე წარმოდგენა, მით დასაწყისი მიეცა სიზმრებს და გალიუცინაციებს. ველური დაწვა, ის ხედავს სიზმარში სხვა-და-სხვა ადამიანებს. იღვიძებს; მას ვერ წარმოუდგენია, რომ ყველაფერი ეს სიზმარია; ის დარწმუნებულია, რომ მან ცხადად ნახა თავისი ნაცნობები, რომლებიც დიდი ხანია გარდაცვლილიყვნენ. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ის ისევ თავის ლოგინში წევს, თავის ჭერ-ქვეშ არის,—იმ დასკვნამდე მიდის, რომ შეიძლება, თავის „მე“-მ (სული, აჩრდილი) დასტოვოს სხეული და ნახოს და გაიგონოს ყველაფერი, რის დანახვაც და გაგონებაც შეუძლია მღვიძარე ადამიანს.

ველურს ნათესავი მოუკვდა; ის დამარხა, მაგრამ სიზმარში მაინც ხედავს მას—ერთად მუსაიფობენ, ბაასობენ. ყველა ამაების შემდეგ ველური იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ მთლად არ ქრება, ის როგორღაც სცხოვრობს სადღაც საიდუმლოებით მოცულს კუთხეში, თუმცა მისი გახრწნილი გვამი კარგა ხანია მიწაში გდია ან და კოცონზე დაიწვა.

ამ თან-და-თანობითი გზით შეადგინა პირველ-ყოფილ ადამიანმა სარწმუნოების შესახებ თავისი აზრი. განსაცდელის წინაშე თრთოდა და კანკალი, უზომო შიში და მუხლის დრეკა უხილავ ძალთა წინაშე, ბუნების ბრწყინვალე და ნაზ მოვლენის წინ სიამოვნების გრძნობა და სულის სიმშვიდე,—აი რა იყო უმთავრესი წყარო ველურის სარწმუნოებრივი გრძნობის გამომხატველი. პირველ-ყოფილ ადამიანს, როგორც

ბავშვს, შეეძლო გაერჩია ის, რასაც პირდაპირი გავლენა ჰქონდა მის გრძნობაზედ.

ჰქუხს, სჭექს, უკუნეთ სიბნელეში ელვა თვალის მომჭრელ სინათლით ლაპლაპებს; ზღვა ღელავს, საშინელი სისწრაფით ეხეთქება ნაპირებს; მიწა იძრა და მის გულიდგან ამოდის ცეცხლი და სხვა გადამდნარი ნივთიერება, ყველაფერი ეს ესმის პირველ-ყოფილ ადამიანს, ჰხედავს ყველაფერს ამას და შიშის ჟრუანტელი უვლის ტანში. ის ყველაფერს უხილავ ძალთა გავლენას აწერს. გათენდა. მშვენიერი დილაა. მზემ თავისი ბრწყინვალე სხივები უხვად მოჰფინა დედა-მიწას. მთელი ბუნება რაღაც თვალის წარმტაც სიმშვენიერეს წარმოადგენს. ველური დღეს დამშვიდებულია. ის უზომო სიხარულს და სულის სიმშვიდეს გრძნობს. და ამ გრძნობით გატაცებული აღტაცებით შესცქერის ცას, მზეს, რომელთაც დაამშვიდეს ის და გაუქრეს შიში და მწუხარება. მაგრამ ღმერთზე, საიქიოზე და ქვეყნის გაჩენაზე არა თუ არ ფიქრობდა პირველ-ყოფილი ადამიანი, არამედ არც კი შეეძლო მას ეფიქრა ამ განყენებულ საგნებზე. მისი აზრი, კრიტიკულ მსჯელობას მოკლებული, არ კმაროდა დაფიქრებულიყო მაზე, თუ სიდგან ამოდის და სად ჩადის მზე, მთვარე. ერთხელ პარკი შეეკითხა ნეგრებს, რისთვის ღამე მზე არ ანათებსო; მას უპასუხეს, რომ ისინი ამაზე თავის დღეში არც კი დაფიქრებულან. ეს ფაქტი ნათლად გვისურათებს პირველ-ყოფილ ადამიანის გონებრივ მდგომარეობას.

ყველა ეს ანალოგიური (მსგავსებითი) გამოკვლევანი გვარწმუნებენ, რომ ველურის გონება ძლიერ განუვითარებელი და ჩლუნგია, რომ მას არ შეუძლია წარმოდგენა იქონიოს სულ უბრალო, მარტივ მოვლენაზედაც. ავსტრალიელებს, პაპუასებს, ბუშმენებს, ჰოტენტოტებს, წითელ-კანიანებს და სხ. არ შეუძლიან რამდენიმე ათეულის შემდეგ თვლა; აფრიკის აკკას სრულიად წარმოდგენა არა აქვს რიცხვზე. ავსტრალიელები ვერ არჩევენ კენგურის (ძაღლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი ცხოველია) სახეს ადამიანის სახისაგან, ათი წუთის ლაპარაკი საშინლად ჰღალავს აღმოსავლეთ აფრიკის ნეგრებს. ბრაზილიის ინდოელებს არ მოეპოვებოდათ სიტყვა განყენებულ აზრის გამოსახატავად. ტასმანიელთა ენაზე არ არსებობს სიტყვა „ხე“, „ცხოველი“, „ფერი“. თუმცა ველურს შეუძლია ბუნდოვანად წარმოიდგინოს რაიც იგრძნო, მაგრამ მისი გონება იმდენად ჩლუნგია, რომ მას არ შეუძლია რომელიმე უცხო მოვლენას მიაპყრას ყურადღება, ასწონ-დასწონოს და გაარჩიოს იგი; არ შეუძლია წარმოდგენა შეადგინოს ისეთ მოვლენებზე, რომელთაც პირდაპირი გავლენა არა აქვთ მის გრძნობაზე და რაც გარეგნულად არ მოქმედობენ მაზე. ამ გვარი იყო პირველ-ყოფილის ადამიანის გონებრივი განვითარებაც. მისი ყოვლად უნიჭობა განყენებულ საგნებზე იმ წერტილამდეა მისული, სადაც მას არ შეუძლია დაუფიქრდეს და დაუკვირდეს წარსულს და მით გაითვალისწინოს მომავალი. აქედგან წარმოდგა პროგრესის და წარმატების ის ხელის შემშლელი მიზეზი, რომელიც იწყება კაცობრიობის სოციალურ განვითარების პირველ საფეხურზედვე. დღესაც არიან ველურები, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მომავალზე, თუმცა მათ განვითარებით საკმაოდ გაუსწრეს თავიანთ წინაპრებს. მაგ., კაფრებმა არ იციან, თუ რა ხილია ეკონომია, შენახვა, დაზოგვა, მომჭირნეობა. სიტყვა „ხვალ“ მხოლოდ სახელით არსებობს და, არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა მას არა აქვს. რომ მომავალ სარგებლობას გულ-გრილად უყურებს ინდიელი, ამისთვის საკმარისია წარმოვიდგინოთ შიმშილი, რომელსაც გამოსცდის ხოლმე ის, უკეთუ ნადირობამ ამაოდ ჩაიარა. ამ შემთხვევაში ინდიელი ნამდვილ ბავშურად იქცევა. ის განცხრომაშია დღეს, როცა აქვს, და მის გონებაში სრულიად არ არსებობს მომავალზე ფიქრი და მოსაზრება. მას სრულებით არ ახსოვს ხვალინდელი დღე. „ჩრდილო ამერიკის ინდიელები—ამბობს ლიპერტი—სრულიად არ ფიქრობენ მომავალზე. ნადირობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ხოცვენ იმდენ ცხოველს, რომელსაც ვერ მოერევიან. როცა უახლოვდებიან ფრინველთ ბუდეს, კვერცხებს სჭამენ და ბუდეს ანგრევენ".

სიზარმაცით და სიძულვილით გამოწვეული გულ-გრილობა გზას უბნევდა პირველ-ყოფილ ადამიანს. მას არ შეეძლო გაერჩია ჭეშმარიტება არა ჭეშმარიტებისაგან; ის ემორჩილებოდა მხოლოდ თავის ცხოველურ ინსტიქტებს; ის მონა იყო თავის ვნებათა ღელვის და მის სუსტს გონებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ამ ვნებათა ღელვაზე.

პირველ-ყოფილი ადამიანი ზნეობრივი მხრითაც ისე საცოდავი და სუსტი იყო, როგორც გონებრივი მხრით. დოვე ამტკიცებს, რომ ტასმანიელები მოკლებულნი არიან ყოველგვარ ზნეობრივს შეხედულობას. ეიროს სიტყვით, ავსტრალიელებს არავითარი შემეცნება არა აქვთ ჭეშმარიტების შესახებ. თავის მოქმედებაში იმით ხელ-მძღვანელობენ, თუ რამდენად ძლიერია, ან სუსტი მათი მოპირდაპირე. ბერტონის აზრით, აფრიკაში ყაჩაღობას და მტაცებლობას დიდი პატივი და მოწონება აქვს. ადამიანი იმდენად გმირია, რამდენად მეტი კაცი მოუკლავს. ადამიანს იმდენად მაღლა აყენებენ, იმდენად პატივს სცემენ, რამდენად ის სისხლის მღვრელია. აფრიკის დასავლეთ ნაწილის ნეგრები მოკლებულნი არიან იმას, რასაც განათლებული ერი „სინიდისს" უწოდებს. სამხრეთ-ამერიკის ინდიელები მოკლებულნი არიან ზნეობრივ გრძნობას და მათ ენაზე არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც ნიშნავდეს სინდისს, კანონიერებას, ქველ-მოქმედებას, უკანონობას, შეუბრალებლობას და სხ.

პირველ-ყოფილი ადამიანი იყო მძვინვარე და შეუბრალებელი, როგორც ნადირი. მის ცოტად თუ ბევრად, განვითარებულ გონებას არ შეეძლო შებრძოლებოდა თავის ცხოველურს ინსტიქტებს. „ველური ჯერ არ ასულა იმ სიმაღლემდე—ამბობს ტეილორი—რომელზედაც ჩვენს გონებას შეუძლია გაითვალისწინოს წარსული და მით წარმოდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქონიოს მომავალზე". მისივე აზრით, რამდენადაც ღარიბია ველური წარმოდგენა, იმდენად მისი მოქმედება ბოროტებითაა სავსე; რამდენად მას აკლია გამომხატველობითი ნიჭი, იმდენად ის მხეცია და ბოროტი. დაბალ საფეხურზე მდგარ ადამიანებს იმდენად ნაკლები აქვთ წინ-დახედულობა, რომ მათ არ ძალუძთ გაუმკლავდნენ ვნებათა ღელვას; მათი ზნეობრივი სასწორი ჩქარა იშლება და ირღვევა. ველური შეუბრალებელია იმისთვის, რომ მან არ იცის სხვას ავნებს თუ არა ის, რაიც მას ვნებს. ველური წააგავს იმ ბავშვს, რომელიც სიცოცხლეს უსპობს პატარა ბარტყებს; ის ამ მოქმედებით სტკბება და მხიარულობს. მას ვერ წარმოუდგენია ამ გვარ მოქმედებით იტანჯებიან თუ არა ფრინველები. ეს მშვენიერი მარგალიტები ინგლისელი მოაზრისა ნათლად გვიხატავს პირველ-ყოფილ ადამიანებს.

პირველ-ყოფილ ადამიანმა არ იცოდა ტანისამოსი; ის დედიშობილად დადიოდა; ხელში კეტით დაეხეტებოდა ტყე-ტყე, როგორც ნადირი; ეძებდა სასმელ-საჭმელს და ათევდა ღამეს მაღაროებში, ფუღუროებში. მართალია მას აშინებდა ბუნების საოცარი მოვლენა, ნადირი, ქვეწარმავალი, მაგრამ ის მეტს შიშს გრძნობდა თავის მსგავს ადამიანის შეხვედრის დროს. პირველ-ყოფილ ადამიანთა და ძაღლებს შორის უფრო მტკიცე დამოკიდებულება სუფევდა, ვიდრე სხვა-და-სხვა ადამიანთა შორის. როცა პირველ-ყოფილი ადამიანები შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მორთავდნენ რაღაც შემაძრწუნებელ ხმაურობას, რომელიც ნადირთა ყვირილს წააგავდა. როცა ტყე-ღრეში ხეტიალის დროს ველური შეხვდებოდა ქალს, ის მხეცურად მივარდებოდა მას და ძალ-მომრეობით იკმაყოფილებდა თავის გიჟურ ვნებათა ღელვის მოთხოვნილებას. პირველ-ყოფილი დედა-კაცი ძალ-ღონით არ ჩამოუვარდებოდა მამა-კაცს. ორივე გაცხარებით იბრძოდნენ, კბენდნენ და კაწვრიდნენ ერთმანეთს მანამდე, სანამ ერთი მხარე სრულებით არ დამარცხდებოდა. ამ გვარი მოქმედება დღესაც არსე-

ბობს ზოგიერთ ველურებში. ფუკე თავის „შრომის ისტორიაში“ ამბობს: ნეგრები-მამაკაცები გაზაფხულზე, როცა აღეძრებათ სურვილი სქესებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, ნადირობენ ხოლმე დედაკაცებზე“. ბორნეოს და ახალ კალედონიის მკვიდრნი დღესაც დაწანწალებენ ტყე-ტყე, არა აქვთ საკუთარი ქოხი, თავ-შესაფარი და ათევენ ღამეს ტყე-ღრეში. ვინც უფრო ძლიერი იყო, დედაკაციც იმას რჩებოდა. ამან გამოიწვია ის, რომ მამაკაცმა, როგორც ძლიერმა სუსტზე, გამოიჩინა თავისი ძლიერება დედაკაცზე და დაუმორჩილა ის თავის გულის თქმას, გაიხადა ის თავის საკუთრებათ, თავის ცოლათ, მონათ, მოშინაურებულ ცხოველად. ის შეიქმნა სრული ბატონი როგორც თავის ცოლის, ისე შვილებისაც. ველურები ახლაც ისე ეპყრობიან თავიანთ ცოლებს, როგორც შინაურ ცხოველს. ავსტრალიაში უკანასკნელ დროამდე ძვირად (იშვიათად) მომკვდარა დედაკაცი ბუნებრივი სიკვდილით. მათ კლავდნენ და სჭამდნენ; ომიანობის დროს იტაცებდნენ, როგორც ნადავლ ნივთს.

თუ გავითვალისწინებთ დედაკაცების მდგომარეობას დღევანდელ ველურებს შორის, ჩვენ შეგვიძლია, როგორც სარკეში, დავინახოთ და გავარჩიოთ მისი მდგომარეობა. ოლფროდი ამბობს: მამაკაცები მათ (კარიბებს) შორის გაცილებით მეტია დედაკაცებზე, რის გამოც ბევრი მამაკაცი რჩება უცოლოდ და ვერ იკმაყოფილებს სქესებრივ მოთხოვნილებას.

როცა ველურები შეხვდებიან დედაკაცს, მისცვივდებიან, ერთი თავში დაკვრით გონებას უკარგვენ, რის გამოც ქალი უგრძნობოთ ეცემა დედამიწაზე; ბოლოს აიღებენ და მიათრევენ დანიშნულ ბინაზე, სადაც უცდიან მის მოსულიერებას, მოცოცხლებას. როცა დედაკაცი გრძნობაზე მოდის, ის ძალა-უნებურად ნებდება მამაკაცებს და ხდება მათი მონა-მორჩილი. სიდნეის მკვიდრნი სრულიად უბრალოდ პოულობდნენ თავიანთ საცოლოებს. დედაკაცებს იტაცებდნენ მა-

შინ, როცა მათ არავინ ჰყავდათ დამცველი. ჯერ სცემდნენ თავში კეტს და გონება დაკარგულებს მიათრევდნენ ტყის მახლობლად. აქ უცდიდნენ მათ სხვა ველურები; მერე იწყებოდა ისეთი სურათი, რომლის თქმაც მეტად სამარცხვინოა და საზიზღარი... ბალის კუნძულზე ახლაც არსებობს ქალების მოტაცება. ქალის დამონავება ველურებში გვაძლევს საკმაო საბუთს, თუ რა და ვინ იყო პირველ-ყოფილი დედაკაცი.

დედაკაცი, ჩრდილო-ამერიკის ინდიელთა შეხედულობით, მუდამ უნდა შრომობდეს და მუშაობდეს. ის ვალდებულია ზიდოს წყალი, მოუაროს ბავშვებს და გადასახლების დროს გადაიტანოს ყოველგვარი ხორაგეულობა და ქოხი თავისი მოწყობილობით.

ზოგიერთ ველურებს, მაგ., ბუშმენებს, ჩვეულებათ აქვთ შეაჩვიონ დედაკაცები საძნელო შრომას, რომ გათხოვების შემდეგ მზად იყვნენ თავის მოვალეობათა აღსასრულებლად. ასეთსავე ყოფაშია წყნარ ოკეანეს კუნძულებზე დედაკაცები. გათენებისას მიემგზავრებიან: ზოგი ტყეში, ზოგი ზღვის პირად, აგროვებენ სადაფებს, კაკლებს, ზღვის ზღარბებს და ყველაფერი ეს მიაქვთ სახლში. მამაკაცები ყველა ამას შეექცევიან და დედაკაცებს კი მხოლოდ ნასუფრალს მიუგდებენ.

მანდვიგის მცხოვრებთათვის ქორწინება — ეს იგივე მონური ფორმაა. ცოლ-ქმარნი არას დროს არ გაეხუმრებიან და არ მიესაყვარლებიან ერთმანეთს. მოგზაურმა კალიემ ჰკითხა ერთხელ მანდვიგის მცხოვრებს ბაბას, რატომ, ერთხელაც არის არ მიესაყვარლება თავის ცოლს? ამაზედ მიიღო პასუხი: „მე რომ მაგრე მოვიქცე, ცოლი თავს აიშვებს, და ყოველ ჩემ ბრძანებაზე სიცილ-ხარხარით მიპასუხებსო.

ინდოეთის ველურები ქორწინებას უყურებენ როგორც საშუალებას მათის ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებისა. ავსტრალიის ახალგაზდობის თვალში დედაკაცებს იმდენად მეტი ფასი აქვთ, რამდენადაც კარგათ ასრულებენ მონის მოვალე-

ობას. როცა მას ჰკითხავ, თუ რათ იწუხებს ის ასე თავს ცოლის შერთვისათვის, – გიპასუხებს: ცოლი მოუტანს მას წყალს, შეშას, მოუვლის მის ქონებას და სხ. ავსტრალიაში ქალთა მდგომარეობა საცოდავ პირობებშია ჩაყენებული. სულ უბრალო შემთხვევა საკმარისია, რომ მამაკაცებმა ისინი ლაზათიანად მიბეგვონ. აქ იშვიათია ისეთი დედაკაცები, რომელსაც ჭრილობებით ტანი არ ჰქონდეს დასახიჩრებული.

აიგონკონცების ენაზე არ არსებობს ზმნა, რომელიც სიყვარულს ხატავდეს. როცა მისიონერები თარგმნიდენ მათ ენაზე დაბადებას (ბიბლიას), იძულებული იყვნენ ახალი ტერმინები გამოეგონათ. მიუხედავად იმ პირობებისა, რომლებშიაც დედაკაცები იმყოფებოდნენ, მათ სულიერ ორგანიზაციაში ნაკლებ სიველურეს და სიმხეცეს შეხვდებით, ვიდრე მამაკაცებში, ე. ი. დედაკაცები უფრო ადრე გაადამიანდნენ. ეს ფაქტი მით აიხსნება, რომ ისინი (ქალები) არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ბუნებასთან და ნადირებთან საბრძოლველად. დედაკაცი მოკლებული იყო ყველა იმ პირობებს, რომელთა შემწეობით მამაკაცებმა განვითარეს თავის ცხოველური ინსტიქტები. დედაკაცის სიყვარული შეუღლებისადმი თან-და-თან ვითარდებოდა, ირბილებდა და აფაქიზებდა მის ველურ ჩვეულებას და მით თან-და-თან შორდებოდა ის ცხოველურ ტიპს. ეს ფაქტი გვეუბნება, რომ მართალია, ტანჯვა-წვალება ხრწნის და ათახსირებს იმას, ვისკენაც ის მიმართულია, მაგრამ მას უფრო მეტი გამრეკელი და გამთახსირებელი გავლენა აქვს მასზე, ვისკენაც ეს (ტანჯვა-წვალება) მოქმედობს.

რომ დავუკვირდეთ დაბალ საფეხურზე მდგარ ველურების მდგომარეობას და მათ ცხოვრებას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი ნამდვილ მხეცს წარმოადგენდა, ყველაფერს ის ფიზიკურ ძალაზე ამყარებდა. იმონავებდა დედაკაცს, რომელიც მხოლოდ საგანი იყო თავის სურვილების დაკმაყოფილებისა; ჰკლავდა თავის მსგავს-

საევ ადამიანს და მის ხორცს დიდის სიამოვნებით შეექცეოდა. საკმარისია გადავავლოთ თვალი ლივინგსტონის, ბეკერის, რაფაელის და სხვა მოგზაურთა მეცნიერულ ნაწარმოებთ, რომ დავრწმუნდეთ შემდეგში: ველურები გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრით არაფრით მაღლა არ სდგანან მხეცებზე. მათ არა აქვთ წარმოდგენა სარწმუნოებრივსა და ზნეობრივს მოვალეობაზე; მათ არ იციან არც სიბრალული, არც მადლობის გამოცხადება, არც სიყვარული და სირცხვილი, არც ნამუსი და პატიოსნება; მათ არა აქვთ არავითარი წარმოდგენა სამართალსა და უსამართლობაზე. ერთი სიტყვით, მათ ვერც ერთ ისეთს თვისებას ვერ უნახავთ, რომელიც ჩვენ ბავშვობიდან გვაქვს თან დაყოლილი; არ იციან რით განირჩევა ადამიანი მხეცისაგან.

გონებრივი სიჩლუნგე, სიმკაცრე და ეგოიზმი, ნამდვილი მხეცური ბოროტება და სიცბიერე, კანიბალიზმი (კაცისმჭამლობა)—აი რა გვარ თვისებებითაა ველურობა შემკული. მართალია, დღევანდელი ველური პატივს სცემს თავის მოკეთეს, ნათესავს; კაცის მოკვლის სურვილი აღეძრება გარეშე ადამიანის მიმართ,—მაგრამ ყველაფერი ეს სხვაფრივ არ აიხსნება, თუ არ იმით, რომ ადამიანი სცდილობს თავის თავი დაიცვას, მტერს ებრძოლოს, ეს ბიოლოგიური კანონია, ეს მისი აუცილებლობაა, თუ ჰსურს თავი გადირჩინოს, თავისი არსებობა დაიცვას; სხვა გზა მისთვის არ არსებობს. სრულიად ბუნებრივია, როცა საზოგადოება, თუ გინდ კაცის მკვლელებისაგან შესდგებოდეს იგი, იცავს თავს, როცა თვითეული სცდილობს არ გამოერჩიოს ამ საზოგადოებას; ისინი (წევრები) იძულებულნი არიან ერთმანეთს მხარი მისცენ, თუ უნდათ ცხოვრება ქვეყანაზე.

ამ გვარი საზოგადოებრივი გრძნობა პირველ-ყოფილ ადამიანს არ ჰქონდა; ის მოკლებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას, იმისთვის რომ განკერძოებულად სცხოვრობდა და მხოლოდ თავის პირად ინტერესებს იცავდა. მართალია,

დღევანდელმა კულტურამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ-მსვლელობისა და წარმატებისაკენ, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ველურობის და მხეცობის ხანა მოისპო და არ არსებობს. ყველაფერი, რაიც კი თქმულა პირველ-ყოფილ ადამიანის შესახებ, საკმაო საბუთია იმისა, რომ ის თავისი ზნეობრივი და გონებრივი სილატაკით დღესაც სცხოვრობს ჩვენს შორის.

ბ. პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულთ ცხოვრებიდამ

(მგზავრის შენიშვნები *).

III

საზავეულო სახ-კუთხიანი მიწით დახურული სახლი, რომელსაც ხევსურულად ეწოდება ჯერხო, აშენებულია რგვალი გაუთლელი უბრალო ხისაგან. აქა სხედან შვიდი-რვა ხევსური, რომელნიც ერთმანეთ შორის მუსაიფობენ სალდათების გაუგანის შესახებ.

ერთი მათგანი. დიდის ღმერთის მადლმა ვოქებო, თუ ხევსურები ბარჩი წალალეს სალდათად, სულ დაიხოცების; ან სად გვყავის ბარჩი გასაგზავნი კაცები, ჩვენ ჩვენის ყარაულებით ჩვენი მთები ვერ გაგვიმაგრების; ახლა ჩვენ ხალხ რო იქ გალალონ და ეს ურჯულოებმ შაიტყონა, ჩვენ ხევსურეთში აღარ გვეცხოვრების, საქონს კი არა, ჩვენ დიაც-ყმაწვილთაც კი წაასხმენ.

იდუკა არაბული (წამოდგება და ეტუკის ხალხს): ძმობილნო ხევსურნო, მარტო ეგრე სიტყვით ლაპარაკი არ გამოგვადგების, ჩვენ მოგვინდების თემის დაძახება, კარგად და ჭკვიანად მოლაპარაკება ამ საქმეზედ, გამოცდილი კაცების ამორჩევა და გაგზავნა ჩვენ ბატონ-პატრონთან, მუხრან-ბატონთან, რომ რჩევა მოგვცას.

ბერდია. მე კიდევ ის გავიგე, ვაქებო, რომ სალდათის გაყვანა მიდგომაზედ ყოფილა; ვისაც რუსული ატრატა (ქაღალდი) უსწავლია, სალდათად სულაც აღარ მიჰყავთ. თუ გაგიგიათ, ერთი საწყალი ხევსური—არხოტონ

---

*) იხ. მოგზაური № 3.

კურდღელაი, რომელსაც ხევსურეთჩი კაცად არვინ აგდებს, აი იმის ვაჟებს გათარხნებას უპირებენ, რადგან რუსული ატრატა უსწავლიათ.

კუკუ ლიკოკოლი. ეს კიდევ არაფერი. იმ კურდღელაის ვაჟი გაგა ძოლანის არხოტჩი მივიდოდა, სამოსი ჩაეცვა, ისეთი, როგორიც ეცვათ შარშანდელ ჭიების მაძებარ ფრანცუცებს, მას ჰქონდის ნაჩარიკის ბრძანება, რომელჩიც ეწერის: გიორგი კურდღელიჩ უთურგაულს ბეგრის ულაყი და მხლები მიართვითო. გამოდის, ვინც ატრატას ისწავლის, ის უნდა გახდეს ქვეყნის ბატონი, სხვები—იმისი ყმები. (**ამ დროს მოულოდნელად ჭერხოში შემოვა ხევსური აპარეკა ჭინჭარული, რომელსაც თან შემოჰყვება ბირიქითელი თუში ნებიერ ლეკაიძე—შესანიშნავი მოსული ვაჟკაცი, შეიარადებული თუშურად, მხარზედ აქვს გადაკიდებული ძვირფასი ყირიმის თოფი, ქართულ ხმალზედ აქვს ტემლაკი, გული გაჭედილი ჯვარ-მენდლებით, ე. ი. ერთი ოქროს ჯვარი, ორი ვერცხლისა და დანარჩენი მენდლები. სტუმრებს ხევსურება ჩვეულებისამებრ ფესზედ აუდგებიან და შემდეგი სალამით მიჰმართავენ უფროსი ერთხმათ**): გამარჯვებით ვაჟებო!

აპარეკა ჭინჭარ. კარგათ ხართა, ვაჟებო, დიაც-ყმაწვილით, საქონით. ყმაწვილებ ხო არ გიტირისთ, საქონს ხო არ გიშივისთა?

ხევსურები. (**უპასუხებენ**) მტერიც ნუ მოგერევისთ, რაის გეკითხებით ჩვენი ამბავი? გვიდგანა მწარენ სულნი.

იდუკა არაბ. აპარეკავ, საითგან მობრძანდი, უსაქმოდ არ გაირჯებოდი?

აპარეკა. მე დავეძებ ჩარჩ-ვართანა სომეხს, ხო არსად გინახავისთ?

იდუკა არაბ. ჩარჩ-ვართანა ეხლა აქ დადიოდა სოფელჩი. რაისთვის გინდების, აპარეკავ, ვართანა სომეხი, რა საქმე გაქვის? ერბო ხო არ გაქვის გასაყიდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბარეკა. არა, თეთრ მინდების ვისესხო მისგან, უნდა ამ თუშს მივსცა ვალჩი.

იდუკა. ეგ რაის ვალია, რისა დაგდებია მაგ თუშის თეთრი?

აბარეკა. ეს ის ვალიასავ, ძოლანის რომ ქისტებმ ულაყებ შემიჭამეს, ეს თუშ გავგზავნე ქისტეთჩი, წაართვა ურჯულოებს სამაგიერო ულაყი, მაგრამ ჩემი ულაყის ძებნის დროს თავისი ულაყი მაჰპარეს და ეხლა უნდა ვართანასაგან ვისესხო თეთრი და ამ თუშს თავისი ზარალი და გასამრჯელო მივსცა.

ხევსურნი. მეზობელო თუშო, თქვენში რა ამბავი გაიგონების, ხომ კარგად ხართ ჩვენი თანამოძმე მეზობელი თუშები ან კაცის, ან საქონის ზარალი ხო არ არის?

თუში. ამბავი ჩვენში, ძმანო ხევსურნო, არ არის საკითხავი.

ხევსურები (გაკვირვებით). ისეთი რა ამბავი მოხდა თქვენჩი?

თუში. ჰეი, ძმანო, ღმერთმა დაიფაროს სხვაგან, რაც ჩვენში ამბავი მოხდა. (ხევსურები ყველანი სთხოვენ თუშს ამ სამწუხარო ამბის ახსნას).

თუში. ძნელად გასამხელია, ძმანო, ეს ამბავი. თქვენ თითონაც გაიგებთ. (ხევსურები ჩაცივებით სთხოვენ თუშს ამ ამბის უსათუოდ შეტყობინებას და შემდეგ ბევრის ხვეწნისა თუშმა აღვიარა).

თუში. ჩვენში ის ამბავი მოხდა, რომ ჩვენი დიდებული ზნეობა, რწმენა და მტკიცე ნათესაობა თავქვე დაემხო და ჩვენს წმინდა ტაძარს მოეცხო საშვილი-შვილოდ მოუშორებელი ჩირქი; ჩვენ ამას იქით თუშები ქუდ-მოხდილნი და ლიხტიბარ გატეხილნი უნდა ვიყვნეთ ქვეყანაზედ, თემში აღარ გამოგვესვლება.

ხევსურები. ძმაო თუშო, გთხოვთ მალე შეგვატყობინოთ ჩვენ მთიელთათვის ეგ საშეუხარო ამბავი.

თუში. ეს საუბედურო ამბავი ის არის, რომ ერთი ახალგაზდა ჩალმა-თუში შესცდა თავის ნათესავზედ.

ხევსურ. ვაი ჩვენს შერცხვენას! (იტუვიან ერთად და თავებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭკიდებენ). ვაი ჩვენს უბედურებას! ეგ რა საოცარი ამბავი მომხდარა, მაგისთანა ჯერ ქვეყანაზედ არ გაგონილა. საიდგან გამოტყვრა მაგისთანა სამარცხვინო შემთხვევა; აქ საქმე რამ იქნების, თორემ ჩვენ მთიელ კაცს როგორ მოუვიდოდის ამგვარი საქმე!

თუშა. ჩვენ მაგან გაგვარკვირვა; მთელი თემი მაგაზედ არ ღაღადობს, საიდან დაგვემართა ამ გვარი უბედურება. ზოგნი ამას ამბობენ, შარშან რომ ჩვენ მთებში ჭიების მძებნელ ფრანცუცები დადიოდნენ სოფელ შენაქოში და მოხუცებულებს ჰკითხავდნენ ჩვენ რჯულ-სამართალზედ, მაშინ იმ ძველი კაცებისთვის ეკითხათ: ნათესავები რომ შემცდარიყო, ამაზედ რა სასჯელი იყო თქვენშიო? აი ამ კითხვის დროს იქ ყოფილიყო ის ახალგაზდა თუში და ყველა ეს სიტყვები გაეგონა. ადვილად საფიქრებელია, რომ იმ ახალგაზდა კაცს გულში ჩაებეჭდა ეს ამბავი და წარმოიდგინა ეგ სამარცხვინო საქმე, რადგანაც სხვა ქვეყანაში შესაძლისი ყოფილა, იფიქრა, რატომ ჩვენში კი არ შეიძლებაო. აი ამ გვარად მოხდა ჩვენში სამარცხვინო საქმე.

ხევსურ. ვაი ჩვენს წახდენას და დაცემას, განა ჩვენ მთებში გაგონილა ამისთანა საქმე? (ერთმანეთს) მოდით, ხევსურნო, დღეს ჩვენ აქ მოველით ბარით ნაჩარიკს, გამომძიებელს და დოხტურს; იმათ უამბნოთ ეს სამწუხარო შემთხვევა და ვნახოთ რას გვიბრძანებენ, ყოფილა ამ გვარი ამბავი სხვაგანაც, თუ მარტო ჩვენს მთაში მოხდა.

(შემოგა სომეხი ვართანა ერბოიანტი და ამათ ხევსურულად მიესალმება).

ვართანა. გამარჯვება, ძმობილებო!

ხევსურები. ვართანა ადღეგრძელოს ღმერთმა! (აპარეკა სთხოვს ფულს ვართანას).

თუშა. ძმობილო აპარეკავ! მე ამ შენ მოძმე ხევსურებთან გიცხადებ, რომ მე შენგნით ჩემი დაკარგული ცხენის

საზღაურს არ მივიღებ, და მანამ ცოცხალი ვარ, ქისტებს ჩემი ცხენის მოპარვას არ შევარჩენ; შენ მარტო, რაც შენი ცხენის გამოყვანაში ხარჯი მომივიდა ის დამიბრუნე, ე. ი. ოთხი ძროხა.

გართანა. აპარეკავ, მართალია მე გასასესხებელი ფული არა მაქვს, მე ძლივს ვშოულობ იმდენს, რომ თითო-ოროლა ლიტრობით სოფლებში ერბო ვიყიდო და ქალაქში ვგზავნო გასაყიდად, მაგრამ მე, როგორც ყოველთვის, დღესაც მზადა ვარ ხევსურების თხოვნა აღვასრულო, მხოლოდ შენ უნდა მამცე ვექსილი ფულის სესხებაზედ.

აპარეკა. ვექსილი რას ჰქვიან? რა არის ვექსილი?

გართანა. ვექსილი ის არის, რომ ქაღალდზედ უნდა დაიწეროს ნასესხი ფული, შიგ უნდა გამოცხადდეს შენი გვარ-სახელიც, ჩემიც, სარგებელში რამდენს მაძლევ, ან როდის უნდა ჩამაბარო; მხოლოდ სარგებელში მარტო ერბოს ავიღებ.

აპარეკა. ქაღალდი ატრატას არა ჰქვიანა?

გართანა. ჰო, ჰო! ატრატას ჰქვიან.

აპარეკა. განა ვაჟკაცმა, რომ პატიოსან სიტყვა მისცეს კაცს, კაპეიკიან ატრატას იმაზედ მეტ ძალა ექნების? ჩემს პატიოსან სიტყვას არც ათას ძროხად გავიმტყუილებ. მე შენ თეთრს ერბოობას მოგართმევ, ქალაქჩი ჩავიტან ერბოს, გავყიდი და ჩაგაბარებ. ამაზედ არც ატრატა გვინდების და არც მზევალი (თავდები). ნუ თუ ჩვენ ისეთი ხალხი ვართ ხევსურები, რომ კაცმა ხელი მოგაიმართას და გაჭირვებიდგან დაგვიხსნას, იმას ვალაპარაკებთა და საჩივლელად გაუხდითა საქმესა! ეგ სულ ტყუილი ფიქრია, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ხევსურებჩი მაგგვარი ფიქრი შემოვიდეს. ჩვენჩი პატიოსანი სიტყვა და სინიდისი სუყოველთვის ყოფილა შეურყეველი, პატივდებული და იმედია კვლავაც დარჩების.

ვართანა. შენ რომ ათასიც ილაპარაკო, მე უვექსილოდ ფულს არ მოგცემ.

აბარეკა. შენ თუნდა ვექსილი დაწერე, თუნდა ატრატა, მე ჩემს სინიდისს არ გადაუდგები, როგორც ერბოობა მოვალის, წავიღებ ქალაქჩი ერბოს და შენს ვალს ჩაგაბარებ.

(ვართანა შეუდგენს ვექსილს თავის სასარგებლოდ და რადგანაც აბარეკამ წერა არ იცის, იმის მაგიერად სხვას მოაწერინებს ხელს. აბარეკას ფულს ჩააბარებს და ვექსილს ჯიბეში ჩაიდებს. უველანი გადიან, მარტო ვართანა და ლეკაიძე რჩებიან).

თუში ლეკაიძე. ნეტა ვინ არის ეხლა ჩვენი ნაჩალიკი, გამოძიებელი და დოხტური?

ვართანა. ნაჩალიკი არის დროზდოვსკი, გამოძიებელი ვოროტილოვი და დოხტური ჩიკოვი, ძრიელ აქებენ, თურმე ყველა საქმეები კანონ-ზაკონზედ მიჰყავთო.

23345

(შემოვლენ მაზრის უფროსი, სამხედრო კაპიტანის ჩინით, ბაკემბარდებიანი. გამოძიებელი—სუალო ტანისა, ქერა კაცი, დოქტორი—დაბალ-დაბალი, დაკენკილი ჰირისახით, ამათ მოჰყვებიან: ფერშალი, ურიადნიკი, ყაზახი და ჩაფრები. მოსულნი დაბინავდებიან ჭერხოში. მაზრის უფროსს გამოეცხადება მამასახლისი—ხევსური, რომელიც მივა მაზრის უფროსთან ახლო, მარჯვენა შუხლით ჩაიჩეცება, ორ თითს მარჯვენა ხელისას შუბლზედ მიიდებს, ვითომ ჩესტს აძლევს, ხელს გასჭიმამს ისე, რომ მაზრის უფროსს შუბლზედ მიაბჯენს და ასე მიესალმება).

მამასახლ. კნიაზ ნაჩარიკი ადღერგძელოს ღმერთმა! კარგად ბრძანდებითა დიაც-ყმაწვილითა, კაცით, საქონით?

მაზრ. უფრ. შენ როგორ მიბედავ ხელს მიშვერ ჩამოსართმევად, განა არ იცი მე მაზრის უფროსი ვარ?

მამასახლ. კიდევაც მაზრის უფროსი ბრძანდებოდეთ, შენი კვნესა მე, მაგ ხელის ჩამორთმევით განა კი რა დაშავდების, თუ ეს ცუდი არსავ, არკი თქვენგან გვაქვის ნასწავლები?

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

მაზრ. უფრ. მე შენ არ გაძლევ მაგდენი ლაპარაკის ნებას. გეტყობათ, თქვენ სულ აგრე ჰყოფილხართ გათამამებულნი და თქვენ უფროსი და დამრიგებელი არა გყოლიათ თავის დღეში. მე შენ მაგ თავისუფლებისათვის პოდსუდში მიგცემ და ციხეში გაგგზავნი.

მამასახლ. თქვენი ნება არის, თუ სალამის მირთმევისათვის კაცი დაისჯების. მე კი ის ვიცი, რომ ჩვენჩი ბრძანდებოდის გუბერნატორი, რუსეთის დიდი კნიაზი გაგარინი და ყველას ხელს გვართმევდა დიდს და პატარას, მაგრამ იმათ ჩვენდა მადლობა და ტკბილი სიტყვის მეტი საყვედურ არ მიუცავსთ, ყველა მამასახლისებიც და თავი კაცებიც დაგვაჯილდოვეს. ასრეთივ იყვნენ ჩვენი უწინდელ ნაჩარიკები—კახეთის დიდი კნიაზები ჩოლაშვილი და ჯანდიერი, მამა-შვილურად გველაპარაკებოდენ, როცა კი აქ მობრძანდებოდენ და სალამისთვის ციხეჩი დაჭერვას არ გვემუქრებოდენ. თუ ხელის ჩამორთმევა წინააღმდეგასა, განა არ შეიძლების ჭკვიანად გვიბრძანოთა, რომ შემდეგ აღარ ჩავიდინათ.

(**მარჯვენა კარიდამ შემოვა თარ-ჩაჩქანში გამოწყობილი ხევსური და ჩქითხავს ურიადნიკს**):

ხევსური. სადა ბრძანდების ნაჩარნიკი?

ურიადნ. ნაჩალნიკმა მოისვენა, რად გინდა?

ხევსური. მისთვის მინდა, რომ საჩივარ მაქვის მასთან.

ურიადნ. რა საჩივარი გაქვს მიამბე. განა მე უფრო კარგად ვერ მოგიხერხებ საქმეს?

ხევსური. მე ის საქმე მაქვს, რომ ჩვენს წინაპართ ერთ ხახმატელ არაბულ მოუკლავს და იმის ნათესავები სასიხლოს მთხოვენ სამოც ძროხას. რადგან დიდ ხნის საქმეა და არ ვაძლევ, მოსაკლავად მსდევენ და ციკაიას დახრჩობასაც მითვლიან, თუ ხევსურულ რჯულ-სამართალზედ არ გადუხადე. (**შემოვა მაზრის უფროსი**).

მაზრ. უფრ. (გაკვირვებული უფურებს შეიარაღებულ ხევსურს). Что это за дикарь!

(მარცხენა კარიდან შემოვარდება მეორე ხევსური თავ-ჩაჩქანიანი შეიარაღებული, რომელსაც ხელში კატა უჭირავს).

ხევსური მეორე. თუ რჯულ-სამართალ არ მომეცემის და არ ჩამბარდების ჩემი სასისხლო, ეხლავ ამ ციცას დავახრჩობ ჩემი მტრის საფლავზედ. (ამას რომ პირველი ხევსური დაინახავს, ხინჩლა ჭინჭარაული, საჩქაროდ იძრობს დაშნას) (ხმალია).

ხარჩლა. შენ არ იციავ მე ხინჩლა ჭინჭარაულს მეძახიან, მე გაყურებინებ, როგორ დაახრჩობ ჩემი მიცვალებულის საფლავზედ ციცას! (მივარდება ამოდებული დაშნით. ამ დროს მეორე ხევსური უცებ ხელიდან გაუშვებს კატას, იძრობს ისიც დაშნას)

ბერდია არაბული. მეც ბერდია არაბულს მეძახიან. (ასტედება საშინელი თვრიკობა. დაინახავენ თუ არა ამას მაზრის უფროსი და ურიადნიკი, შიშით თავზარ-დაცემულნი, აქეთ-იქით მიაწყდებიან და ეძებენ კარს გასაქცევად. იბოვიან თუ არა კარს, ეცემიან ორივენი და გადაიჩეხებიან. დაშნების ტრიალი და მებრძოლთა ევირიდ-კიეონი შემოესმება გადაეცნებულს მამასახლისს, შემოვარდება და შეუტევს ხმა-მაღლა ორთავ მოჩხუბართ).

მამასახლ. ამ წუთში დაშნებ ჩააგეთ, მე არ გაძლევთ ნებას, როგორც თემისგან ამორჩეული მამასახლისი, რომ თქვენ ურთიერთ ჰხოცოთ. (მებრძოლნი მამასახლისის ბრძანებას ასრულებენ და ბრძოლას შეაყენებენ. შემოვდენ გამომძიებელი, ექიმი და მამასახლისის თანაშემწე; ესენი გოცებით შეჰყურებენ შეიარაღებულ და ნაბრძოლ ხევსურებს და უბრძანებენ მამასახლისს გაიყვანოს გარედ ხევსურები და თვითონაც გავიდეს. ესენი გავდენ. ბერდია არაბული ადმოჩნდება დაჭრილი თავში. მამასახლისი დაუძახებს თემის კაცებს. ამ დაძახებაზედ

შემოვდენ სამი მოხუცებული ხევსური, ესენი ჭრილობაზედ დაწყობენ ქერის მარცვლებს და გადასწყვეტენ, რომ ჭრილობა არის თორმეტი ძროხის ღირებული).

ურიადნ. (მაზრის უფროსს მოახსენებს). თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ, ვილაც თუში გახლავთ მოჩივრად.

მაზრ. უფრ. შემოიყვანე. (**შემოდის თუში ნებიერ ლეკაიძე. მაზრ. უფროსს და სხვებს სალამს მიართმევს**):

თუში ლეკაიძე. კნიაზ ნაჩალიკი ადღეგრძელოს ღმერთმა!

მაზრ. უფრ. (**ადგება, მივა თუშთან და იტყვის**): აი ყოჩაღი და გაზრდილი კაცი. გეტყობა რომ ნამსახური კაცი ხარ.

თუში ლეკაიძე. დიაღ, ბატონო, ნამსახურიც ვარ და ბევრი სისხლიც დამიღვრია მტრისა ხელმწიფის ერთგულებისათვის და მტრის გასამუსრავად, მაგრამ ეხლა ისეთი დროება დაგვიდგა, რომ არც ერთგულებას და არც ვაჟკაცობას პატივი აღარა აქვს.

მაზრ. უფრ. მაინც რა საქმე გაგჭირვებია?

თუში ლეკაიძე. მე ამას წინად გახლდით ქისტეთში მოსაძებნად მოპარული ცხენისა, ის ცხენი იყო ჩემი ერთი კარგი მეგობარი ხევსურისა; ცხენი ვიპოვე, მაგრამ ჩემი საკუთარი ცხენი კი იქვე ხელიდამ გამომაცალეს. მას შემდეგ ავდივარ-ჩავდივარ, მაგრამ ჩემი ცხენი ველარ მიპოვია და არც ვინ სამართალს მაძლევს.

მაზრ. უფრ. მე ეხლა თვითონ ქისტეთში მივდივარ, შენც თან გამომყევი, მაგ საქმეზედ კარგად და გამორკვევით პროტოკოლს შევადგენ და სუდში გარდავსცემ. დამნაშავე დაისჯება და შენი ცხენი, ან მისი ფასი ჩაგბარდება. (**თუში გვერდზედ მიიხედავს, სახე სრულიად ეცვლება, თითქო ნათესავის სიკვდილის ამბავი გაიგოვო და ეტყვის მაზრის უფროსს**):

თუში ლეკაიძე. მე გთხოვთ მაგ საქმეს სუდში ნუ გადასცემთ და მზადა ვარ არამც თუ იმ ცხენს თავი დავანებო, არამედ ქურდებს ორიც კიდევ სხვა მივსცე. განა არ

მოგეხსენებათ, რომ ერთი, ორი და სამი ცხენის ფასი მარტო სუდში წასვლა-წამოსვლაზედ მოუნდება, ახლა მოცდენა სხვა იქნება და დარწმუნებული ვარ ბოლოს ჩვენი ქვეყნის ამშენებელ ადვაკანტების დარიგებით საქმეს ისე გამოიყვანენ, ვითომც ცხენი მე თითონ მომეპაროს, და ადვილად შესაძლებელია სუდის კანონით და ადვოკანტების წყალობით, ქურდი ანგელოზად გამოიყვანონ და მე თვითონ ჩამაბან საქმეში. მე გთხოვთ, ჩემი საქმე გაათავოთ ჩვენი მთიელთა რჯულ-სამართალზედ, ე. ი. ქურდს აზღვევინოთ შვიდეულად თემის სუდის გადაწყვეტილებით, რომელსაც ქურდები ვერც მოატყუებენ, ვერც თავის ცულლუტ მოქმედებით და ადვოკატების ყოველ სიმართლე მოკლებულ-აჭრელებულ სიტყვებით და მოწმების ცრუ ნაჩვენებით მოატყუებენ. ქურდებმა თუ გაიგეს, რომ ჩემი საქმის გადაცემას აპირებთ სუდში, დაბეჯითებით შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ რაც ცხენზე ვზივარ, იმასაც მომპარავენ და ჩემ სახლ-კარსაც აიკლებენ. იმათთვის საქმის სუდში გადაცემა სამოთხეა, მხოლოდ მართალი კაცისთვის კი დაღუპვა და დაჩაგვრა.

მაზრ. უფრ. შენ რომ ნამსახური და დაჯილდოებული კაცი არ იყო, მაგისთანა პასუხზედ ძალიან გაგიჯავრდებოდი, მაგრამ შენს ნამსახურობას პატივსა ვცემ. ნუ თუ მთიელნი ვალდებულნი არ იყავით ამ ორმოცდა-ათის წლის განმავლობაში შეგესწავლათ კანონები, სად უნდა მიმართოთ საჩივლელად და როგორ მოიქცეთ? თემის სუდს რა უფლება აქვს ასამართლოს საქმეები? ვისგან არის დაყენებული, ან დამტკიცებული და დაფიცებული თემის სუდი? თუ შენ სიარულის თავი არა გაქვს, შეგიძლიან შენი საქმე მიანდო ადვოკატს, რომელიც შენს მაგიერ აწარმოებს სუდში შენს საქმეს.

**თუშა ლეკა

არ მივანდობ და სუდში არა მსურს საქმის გადაცემა, მხოლოდ, თუ თქვენ ინებებთ სუდში გადატანას ჩემი საქმისას, მე დავიჭერ ადვაკანტს მარტო იმიტომ, რომ ეგ საქმე უკან გამოიტანოს და მოსპოს და არა იმისათვის, რომ იდავოს. მე მოგახსენებთ, რომ ადვოკატები ბოლოს მომლებია ყოველი ჩვენი კარგი ზნე-ჩვეულებისა, ჭეშმარიტებისა, ურთიერთობისა.

მაზრ. უფრ. ერთი სიტყვით, თუ გსურს წამოდი ქისტეთში და შენს საქმეს იქ გავათავებ. (**თუში კაკა. ურიადნიკ-ჩაფრები შემოიტანენ საუზმეს, რის შემდეგ** მაზრ. უფრ. განკარგულებას მოახდენს, რომ ცხენები მოამზადონ და მალე გაემგზავრონ. გადავლენ ქისტეთში. აქ დახვდებიან ქისტები შეიარაღებულნი თავით ფეხებამდე ქართული თოფებით, ხმლებით, ხანჯლებით და დამბაჩებით, ჩერქეზულად აცვიათ. ზოგიერთს მათგანს წვერი წითლად შეღებილი აქვთ, მათ შორის სდგას მოლა. მაზრ. უფრ., გამომძიებელი და ექიმი რომ გამოვლენ მათთან, ქისტები სალამს მიართმევენ თავის დაბლა დახვრით. მაზრ. უფრ. მიმართავს მამასახლისს, რომელიც დაბალი ტანის კაცია და ეტუობა დიდი გაქნილი და ფლიდი არსება უნდა იყოს).

მაზრ. უფრ. შენა ხარ მამასახლისი ქისტებისა?

მამასახლ. დიალ, შენი ჭირიმე, კნიაზ ნაჩალიკ, მე ხარ მამასახლისი.

მაზრ. უფრ. დღე და ღამ თქვენზედ შემოდის ჩემთან საჩივრები იმაზედ, რომ თქვენგან ყოფილან აკლებულნი თუშ-ფშავ-ხევსურნი. მე პირველად და უკანასკნელად გიცხადებთ, რომ აღარ იყოს დღეის ამას იქით ეგ ქურდ-ავაზაკობა, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ იქმნებით აქედამ გადასახლებულნი რუსეთში.

ქისტი სადულა ბოჩაევი. კინეზ ნაჩალიკ, ეგ სულ ტყუილი მოხსენება ხარ. ჩვენ, რადგანაც მაჰმადის რჯული ვარ და თუშ-ფშავ-ხევსურები ქრისტიანი ხარ, იმიტომ გემ-

ტერებიან და უფრო ნამდვილი მიზეზი ისა ხარ, როცა იმათ დაეკარგებათ რამე, მაშინვე აქ გამოსწევენ და გვედავებიან, რაღაც თავიანთ ბრიყვულ ჩვეულებაზედ თემის სუდით გადაუხადოთ დაკარგულიო. ამაზედ, კინეზ, ჩვენ თანახმა არ უხდებით და უცხადებთ: თუ რამე საადაო აქვთ ჩვენთან, წავიდნენ და მიმართონ ჩვენი დიდებულ რუსეთიდგან დაწესებულ სუდს, სადაც ყოველი საქმე ირჩევა კანონიერად, მტკიცედ და სამართლიანად და თუ პატივცემული სუდი გაგვამტყუნებს, მაშინ თავის დაკარგული მიგცემთ.

ქისტები. კინეზ ნაჩალიკ, რომ ჩვენ ქურდები არა ვარ და პატიოსანი კაცი ვარ და თქვენ დაგარწმუნოთ მაგაზედ, ამ ჩვენ მოლლასთან ყორანზედ დაგიფიცამთ და ხელწერილსაც მოგცემთ, რომ ჩვენი არაფერი არ მოგპარო, ხოლოდ რაც საქმე იქნება, იმათ სუდში გიჩივლონ.

მაზრ. უფრ. ეს ძალიან კარგი. აბა, მოდით და ყველამ ყორანზედ დაიფიცეთ, რომ თქვენ ამას იქით აღარაფერი არ მოახდინოთ.

(ქისტები მოდდას მოტანილ ყორანზედ დაიფიცამენ ქისტურ ენაზედ ასე: ვალაი ბილაი თელაი უხდელერ დესაჩ დელე ყორან ლოჭყორ მადუ მსთურ გურჯი გიოურიშ, დოხან სეინა გეგიჩ. (ამ ფიცის დროს ერთი თითი მაღდა უჭირავთ. დაფიცების შემდეგ ქისტები ეტუვიან ნაჩალნიკს):

ქისტები. მართალია, წინადაც არ ყოფილა ჩვენში ქურდობა, მაგრამ ახლა კი ძირეულად აღმოიფხვრება არამც თუ ქურდობა, არამედ ყველა ბოროტ-მოქმედება, რადგანაც ფიცი მივიღეთ, რომ არავინ გაბედოს ბოროტ-მოქმედება.

ქისტი სადულა ბორბაევი. ზოგი ამაღამ გიყურე ნაჩალიკის და თუშის ცხენი საით გაგაქანებ. (რუსულად ნაჩალნიკს). კინეზ ნაჩალიკ, თეფერ უნას ვოროვსთვო ვსიო ფრაფალ, თვოი ზაქონ ოჩენ ხაროში ზაქონ, ქოგდა თვოი დელო სუთ ფოიდოთ.

(მაზრის უფროსი, გამოძმ., ექიმი და ქისტები გავლენ. დარჩება მარტო თუში ლეკაიძე, რომელიც გაშტერებული დადის. შემოვარდება ურიადნიკი ჩაფრებით).

ურიადნ. სადა ბრძანდება ნაჩალნიკი, უნდა მოვახსენო, რომ იმის ცხენი მოუპარავთ ქისტებს.

ლეკაიძე. როგორ, ნაჩალნიკის ცხენიც მოუპარავთ?! წავიდე, ჩქარა ვნახო, იქნება ჩემი ცხენიც თან გააყოლეს.

(შემოვლენ მაზრ. უფრ., გამოძმ. და ექიმი, რომელთაც ურიადნიკი მოახსენებს, რომ ქისტებს ცხენი მოუპარავთო).

მაზრ. უფრ. როგორ თუ ცხენი მოუპარავთ? გუშინ საღამოზედ ფიცი მიიღეს და დღეს მე, უეზდნი ნაჩალნიკს, ცხენი მომპარეს? გასწით ჩქარა მამასახლისი აქ წარმოადგინეთ. (მაზრ. უფროსი, გამოძმ. და ექიმი ერთმანეთს ეტყვიან: Вотъ вамъ туземная присяга! (შემოვა მამასახლისი).

მაზრ. უფრ. (მამასახლისს). როგორ, თქვენ გუშინ საღამოე ფიცი მიიღეთ და დღეს ცხენი მოგპარეთ?

მამასახლ. არა, კინეზ ნაჩალიკ, ტყუილი იქნება, თქვენ ცხენს რკინის ბორკილი ჰქონდა, იმას როგორ მოიპარამდნენ? (შემოვა თუში ლეკაიძე და გამოუცხადებს მაზრის უფროსს, რომ იმის ცხენიც მოუპარავთ ქისტებს).

მაზრ. უფრ. (წამოხტება და გაფიცხებული დადის). ეს რა ამბავია?! (მამასახლისი ჯიბიდამ ამოიღებს ნაჩალნიკის ბრძანებას, რომელიც გამოგზავნილია ერთის თვის წინედ და მოახსენებს, რომ ამ ბრძანებით ყარაულით სუდში იბარებენ ცხენის ქურდობაზედ შუსა კაჩაუროვს).

მამასახლ. მუსა კაჩაუროვი მე თვითონა ვარ, მე ჩემი თავი ყარაულით როგორ გავგზავნო სუდში.

მაზრ. უფრ. შენ—მამასახლისს ქურდობა გბრალდება?

მამასახლ. არა, კინეზ, სულ ტყუილი დაბრალება არის ხევსურებისაგან. მე გახლდით დაბარებული თიანეთის

სუდში. ერთი ფშაველი ტყუილად მაბრალებდა სამოცი ცხვრის მოპარვას. როდესაც თიანეთიდგან მოვდიოდი შინ, გზაზედ ხევში ვნახე ერთი უპატრონო ცხენი და რადგან ფეხით ვიყავი, შევჯექი და წამოვიყვანე. ეს რა ქურდობა არის?

მაზრ უფრ. როგორ, შენზედ ორ-ოლი საქმე არის ქურდობაზედ და შენ კიდევ მამასახლისათა ხარ?

მამასახლ. მე ხო ძალად არ დამდგარხარ მამასახლისად. მე თუ ორი ქურდი ხარ, სხვა, ვინც მე ამოგირჩია, ათი და ხუთმეტი ქურდობა არის შენიშნულები.

მაზრ. უფრ. ეს რა ამბები მესმის. თუშ-ფშავ-ხევსურნი ამათთან არა ყოფილან მტყუანნი. (მამასახლისს) ჩემი ცხენის მოპარვაც ტყუილი დაბრალებაა?.. გასწი და ეხლავე მომიყვანე ის ქისტი, ცოტად რუსულად რომ ლაპარაკობდა გუშინ. (შემოვა სადულა ბორძაევი). მე შენ ყველაზედ უფრო მომეწონე ამ ხალხში და მინდა, რომ ურიადნიკობა მოგცე.

სადულა. (დიმილით მიიხედავს გვერდზე). აბა ცხენების გალაგება მაშინ გიყურე?

მაზრ. უფრ. ერთი მითხარ, ეს როგორ მოხდა, რომ გუშინ შემომფიცეს ქისტებმა, არაფერს მოვიპარავთო და წუხელის კი ორ-ორი ცხენი წაუყვანიათ.

სადულა. მე, კინეზ ნაჩალიკ, ძალიან მართალი კაცი ხარ, თუ მე ურიადნიკობა მოგცემ, ყველაფერი მართალი გეტყვი და ქურდობაც აღარ გექნება.

მაზრ. უფრ. ნუ თუ თქვენს ხალხს ფიცი არა სწამს?

სადულა. ფიცი, კინეზ ნაჩალიკ, ძალიან გწამს ჩვენი ხალხი. (ჩუმად) მაგრამ გუშინ, კინეზ, იმაზედ კი არ დაიფიცეს, ჩვენი ხალხი არაფერი მოგიპაროს, იმაზე დაიფიცა, რომ იმ ქისტი, რომელიც გურჯის ცხენს და სხვას არ მოგიპარამს, გაუწყრეს დიდი მაჰმადის მადლიო.

მაზრ. უფრ. (მუხლზედ ხელს დაიკრავს). ეგ რა შემატყობინე.

ნუ თუ ეგრეთი ავაზაკობა გაბედეს ჩემს წინაშე; ან მოლლამ, სასულიერო წოდების კაცმა, ეგ როგორ გაბედა?! ეხლავე დაიჭირეთ მოლლა და მოიყვანეთ აქა.

სადულა. მოლლას, კინეზ, ეხლა სად დაგიჭერ? იმან, როგორც გაიგო თქვენი ციხენები მოგიპარია, მაშინვე დაღესტანში გაგივარდა. ეხლა პირ-იქით გადასული იქნება, იმას ვერავინ ვერ დაიჭერს. (შემოვდენ ურიადნიკ-ჩაფრები და მოახსენებენ):

ურიადნ. ჩვენ ვიპოვეთ თქვენი ცხენი ერთს ღრმა ხევში და რადგანაც ცხენი რკინის ბორკილიანი ყოფილა, ვერ წაუყვანიათ, მაგრამ ნალები აუყრიათ და წაუღიათ, ცხენი კი იქ დაუტოვებიათ. მხოლოდ თუ ლეკაიძის ცხენი, რადგან ისიც ბორკილიანი ყოფილა და წაყვანა ვერ შესძლებიათ, მოუკლავთ და ხევში კუდ მოჭრილი გადაუგდიათ. (შემოდიან გამოძძიებელი და ექიმი. მზრის უფროსი გაბრაზებული დარბის და ამათ შესჩივლებს ქისტის და ურიადნიკ-ჩაფრებისაგან გაგებულს ამბებს).

ელიზბარ გუგუშვილი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

კლარჯეთისა

როგორც მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს ძველი ისტორიის ნაწილი, ფარნავაზ მეფემდე, ვიდრე საქართველოში მამასახლისური წესები არსებობდა, ანუ ახლანდურის ენით— რესპუბლიკური მთავრობა, მინამდის კლარჯეთი ერთს სამამასახლისოს შეადგენდა და იგი ემორჩილებოდა მცხეთის სამამასახლისოს. მაშინ და შემდეგ საუკუნოებშიაც ამ მხარეს კლარჯეთი ეწოდებოდა. შემდეგ დროებში ხან ზემო ქართლი უწოდეს, ხან მესხეთი, ხან სამცხე და ხან საათაბაგო. როგორც სჩანს კლარჯეთის წოდების შემდეგ ზემო ქართლი უწოდებიათ, ზემო ქართლის შემდეგ სამცხე, სამცხეს შემდეგ მესხეთი და მესხეთის შემდეგ საათაბაგო. ჩვენ აქ ვხმაროობთ კლარჯეთს, ე. ი. იმ სახელ-წოდებას, როგორც ეს მხარე ძველისძველადგანვე იწოდებოდა.

ძველათ კლარჯეთის ნაწილი იწყებოდა არსიანის მთიდამ შავი ზღვის ნაპირებამდე, დასავლით ოლთისამდე და სამხრეთით—არმენიამდე ანუ ჰაოსიანთ საზღვრამდე.

საქართველოს ისტორიის ძველის ნაწილიდამ სჩანს, რომ ჩვენს სამშობლოში ქართველი ტომის ერი ისე ვერსად მრავლობდა, როგორც კლარჯეთში, ანუ სამცხე-საათაბაგოში. მასთანვე კლარჯნი ძველის-ძველადგანვე განთქმულნი იყვნენ სილამაზით, ახოვნებით, ვაჟკაცობით, რაინდობით და სიდარბაისლით. უახლოეს დროის მწერალი თეიმურაზი მიტომაც ამბობს ამათზე შემდეგს:

„პირველ თქმულია ბრძენთაგან სიდარბაისლე მესხისა“.

ჩვენი დროის მწერლებიც ასე მოიხსენებენ:

„მესხი სწავლითა ქებულიო“.

ესევე მხარე ბევრმა ჩვენმა მამებმა და მწერლებმაც შეამკეს. ნიკოლაოზ თფილელმა, ბესარიონმა, ზაქარიამ და ანტონ კათალიკოზმა ბევრს ალაგას წარმოსთქვეს ამათ შესახებ შემდეგი:

მესხთა მთიები, მესხთა ცისკარი,
მესხთა გვირგვინი, მესხთა დიდება,
მესხთა სიწმიდე, მესხთა ლამპარი,
მესხთა ნათელი აღმობრწყინდება და სხვანი.

ქართულს ძველს მწიგნობრობაში ქართველნი მხოლოდ კლარჯეთის ქართველთა სახელწოდებით იქებიან და იდიდებიან. კლარჯეთის ქართველნი ძველადგანვე წამოსადეგნი ვაჟკაცნი იყვნენ, ხელ-ლონიერნი, მარჯვენი, სქელ შავ სისხლით სავსენი, დიდი თვალ-წარბების და ხმის მექონენი-ქალებიც ასეთნივე იყვნენ. ამ მხრის ქართველთ სულიერი და ხორციელი თვისებანი ძველადვე სწორედ სანაქებო მდგომარეობაში ყოფილა მოთავსებული. ამიტომაც ესენი ღირსნი გახდნენ იმ პატივისცემისა და დიდებისა, რაც მათ შოთა რუსთაველმა შთაბერა. უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“ პირდაპირ ამ მხრის ერის ცხოვრების სურათებს წარმოადგენს. აქედამ კარგათა სჩანს მესხთა ზნე-ჩვეულება, ხასიათები, სამოქალაქო და სამხედრო მხარეები, რაინდობა და მამულის სიყვარული. ქალების გატაცებული გმირობა, უზომო პატივისცემა სამშობლო ქვეყნის მფარველ გმირებისა და ბევრიც კიდევ სხვა რამეები. თვით უკვდავი შოთა რუსთაველიც ხომ მესხეთში დაიბადა და იქვე აღიზარდა, როგორც თვითვე ამბობს:

„და ვსწერავ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველსა დაბისა“.

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ დღეს რას ვხედავთ შოთა რუსთაველის მშობელს რუსთავში!? კარგს არაფერს, მთლად რუსთავი ვერანად გამხდარა, ქართველების იქ ყველაფერი

მოსპობილა, ფერფლად ქცეულა. ქართველთ მაგიერ დღეს იქ ქურთები სახლობენ და ქურთული ენა სუფევს.

საათაბაგოს ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა სამთავროებ შორის, მეფეს მოსდევდა ათაბაგი და ამას სხვები. საათაბაგო თავის შინაგან ღირსებითა და სიმდიდრით მუდამ მაღლა იდგა საქართველოს ყველა მხრის ადგილებზე, აქ ყველაფერი ბრწყინავდა, სწავლა, მეცნიერება, ქრისტიანობა, მწერლობა და გმირობა. ამიტომ საათაბაგოს ყველა პატივს სცემდა, ეს პატივისცემა თვით შოთა რუსთაველსაც ეტყობა, ამას ცხადათ მოწმობს „ვეფხის ტყაოსნის“ მრავალი ცნობები და აღწერანი, მაგალითად, თუნდ ციხის-ძირის აღწერა და მისი ქაჯეთის ციხედ წოდება და მრავალ სხვა ადგილებისაც.

მესხთა თვისების და ცხოვრების წესები მაინცა და მაინც არ წარმოადგენს ერთ განკერძოებულს რამეს სხვა კუთხის ქართველთ ცხოვრებასთან. მესხთა ცხოვრება საქართველოში საზოგადო ხასიათების მექონი იყო და თითქმის მსოფლიოც. მაშ რამ გახადა რუსთველისათვის ამ მხრის ერის საქმეები საყურადღებოთ, თუ არ ამათ საზოგადო მსოფლიო მიდრეკილებამა და ღირსებამა. მსოფლიო ისტორიაში თუ ქართველობა დაიჭერს ადგილს, ვიტყვით, რომ პირველნი მესხნი იქმნებიან და ამათი ხსენება ნათელს მოჰფენს დანარჩენს ქართველებსაც. მაინც ყველა უძველესთ ხალხთა მეისტორიეთა ნაწერებში ჩვენ მხოლოდ მესხეთს ვხედავთ მოხსენებულს, მაგ., დაბადებაში, სადაც მოხსენებულია მ ო ს ო ხ ი, ე. ი. მესხეთი, მესხები. აქედამ გადმოკეთდა სიტყვა სამცხე, მცხეთა და სხვანი.

კლარჯეთი იყო დასავლეთი საქართველო. იგი იწყობა ბორჯომის ხეობით და მიემართება სამცხით ტრაპიზონამდე, სამხრეთით—არმენიამდე და ჩრდილოეთით—შავი ზღვის ნაპირამდე. იგი კარგა ვრცელი მთიანი ადგილებია და ზომა რომ იქმნეს, მაშინ 300 ვერსზე მეტი გამოვა სიგძე-სიგანე, ეს ჭანეთს გარდა, რომელიც ძველათ აგრეთვე საქართველოს

ნაწილს შეადგენდა. კლარჯნი თავიანთ ზრდილობის გარდა მეტათ მამულის მოყვარენიც იყვნენ, ომში პირველი ადგილი ამათ ეკავათ. „ქართლის ცხოვრების“ თქმით პირველ მოწინავეთ ესენი უნდა დამდგარიყვნენ, თორემ იწყენდნენ და საქმეც დაიშლებოდა. ამათი მეწინავობა ამხნევებდა დანარჩენ ქართველებსაც. ესენი გმირულათ ეგებებოდნენ ყოველთვის საქმეს და ამით სხვებსაც ახალისებდნენ, როგორც ძველის-ძველათგანვე სიბრძნით შენიშნულნი და სავსენი, გმირობა და თავის-დადებაც ანგარიშით იცოდნენ, მოსაზრებით და ჭკუით.

მეათე საუკუნეში მესხეთის დავით კუროტპალატმა იშვილა ბაგრატ მესამე და მთელის საქართველოს მეფედ ეს დაადგინა. ასე და ამ გვარად კლარჯთა მეოხებით ამ დროდამ იწყება ქართველთ ტომის გაძლიერება. ამის შემდეგ აღორძინდა ქართველებში მწიგნობრობა, ხელოსნობა, მხედრობის ცოდნა, ლაშქართ გაწყობა, ხელოვნება, ვაჭრობა. კლარჯნი ვაჭრობით და აღებ-მიცემით რომ წინ ყოფილან, ეს ხომ ყველასთვის ცხადია. აჭარელნი დღესაც ამბობენ, რომ ძველათ აჭარას ვაჭარა ერქვაო, რადგანაც აქაურნი გამოჩენილნი ვაჭრები ყოფილან და ამათ შავის ზღვით ბევრი რამ ნაწარმოები გაჰქონდათ შავ ზღვის იქითა ქვეყნებშიო. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ სასწავლებლების და ეკლესიების შენებაც აქეთ წავიდა წინა. მწიგნობარნი და მსწავლული პირებიც სულ აქედიმ გამოდიოდნენ. ამ სწავლულთ პირთა მეოხებით იყო, რომ პირველათ აქეთ აღშენდნენ შესანიშნავი ტაძრები, რომელთა უმეტესი ნაწილი XV საუკუნის შემდეგ გაუქმებულ იქნენ და მოსპობილ ისე, როგორც ზეგანში სოფ. ვანის (ვათაძეები) დიდი ეკკლესია, რომლის ქვებიც კი აღარ სჩანს.

ხახულის ხეობაში, რომელიც დღევანდლამდის ოსმალოს ხელშია დარჩენილი, X საუკუნეში, ბაგრატ მეოთხემ დაამთავრა დიდებული ტაძარი ხახულისა. ამ შესანიშნავ ტაძრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით დაარსებულ იქმნა სასწავლებელი, სადაც ქართველთ შვილებს ასწავლიდნენ. ამ ტაძრის წინამძღვარს და სასწავლებლის უფროსს ჩვენი ძველი მწერლები ახალ იოანე ოქროპირად ასახელებდნენ. ამ პირმა განაბრწყინა ხახული და ხახულის სასწავლებელი. იოანე ხახულელი მწერლობდა კიდეც, ამან თავის მწერლობის გავლენის ქვეშ მრავალი ქართველი გამოზარდა, გაამწერლა, წიგნთა თარგმნა და გადაწერა ხახულის ხეობის ქართველთ ამან ასწავლა. XI საუკ. გასულს ეს ტაძარი დავით აღმაშენებელმა განაბრწყინა და გაამდიდრა. XII საუკუნის გასულს, თამარ მეფის ხალიფაზე გამარჯვების სახსოვრად მანიაკი დასწერა და ეს მანიაკი ჯერეთ თამარ მეფის დროშაზე იქმნა წარწერილი და შემდეგ ხახულის შესანიშნავს ღვთის-მშობლის ხატზე, რომელ ხატიც ხახულის აოხრების შემდეგ გელათში იქმნა გადმოტანილი და რის ხელოვნებასაც განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე სწავლულნი. ამ შესანიშნავი ტაძრის ერთი ნაწილი დღეს ჯამეთ არის გადაკეთებული და შიგ ლოცულობენ ქართველ მაჰმადიანები, რომელთაც 400 წლის ოსმალთა მუდმივ ომების მეოხებით თავიანთი დედა-ენა დაკარგეს. ხახულის ხეობაში სხვა წვრილი ეკლესიებიც მოიპოვება აქა-იქ. სოფლებს შერჩა თავიანთი პირვანდელი ქართული სახელები და აქა-იქ მაჰმადიანებმა იციან, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან.

ხახულის მახლობლათ, ორის დღის სავალზე, სამხრით ძევს შესანიშნავი ხეობა ი შ ხ ნ ი ს ა, სადაც დღევანდლამდე სდგას დიდებული ტაძარი იშხნელისა, რომელიც ჩვენს ისტორიაში დიდის დიდებით ბრწყინავს და რომელიც აღშენებულია ამავე საუკუნეში და ქართველთ მეფეთაგან გამდიდრებული. დღეს ეს დიდებული ტაძარი ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენს, ამ ტაძრის გარემონი და მთლად იშხნის ხეობა ძველათ მთლათ ქართველი ტომით იყო მოფენილი და სოფლები და ეკლესიებიც ხშირი იყო. დღეს ამ ხეობის

ქართველ მაჰმადიანებს ქართულის ენის აღარაფერი ესმისთ, მთელს ხეობაში მოისპო ქართული ენა, ხმაურობა. აქ ქართველ ტომის და ენის მოსპობას ის გარემოება უფრო ეწყობდა ხელს, რადგანაც ხსენებულ ადგილებთა ქართველნი სჯულის გამო ოსმალებს უფრო სასტიკათ ეომებოდნენ, ამის გამო ოსმალთაგან ესენი დამორჩილების შემდეგ სასტიკათ იდევნებოდნენ და ბევრს ამათთაგანს შუაგულს ოსმალში ასახლებდნენ. დღეს ამ შესანიშნავი ტაძრის ერთი ნაწილი ჯამეთ არის გადაკეთებული, ამ ტაძრის ხილვას განცვიფრებაში მოჰყავს ევროპის მოგზაური მსწავლულნი.

შესანიშნავია აგრეთვე ამ ეკკლესიებთა მახლობლივ მდებარე მესამე დიდი ეკკლესია და მეოთხე პარხლის ხეობაში პარხლის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც დღევანდლამდე შეურყეველათ სდგას. მისი ერთი ნაწილი დღეს ჯამეთ არის გადაკეთებული. პარხალი ოსმალოს სამფლობელოში ძევს, მთელი ხეობის მცხოვრებნი ქართველთ ტომის მაჰმადიანები არიან და ამათ სამშობლო ენას ქართული ენა შეადგენს. ამ ხეობის სოფლებსაც შერჩათ თავიანთ პირვანდელი ქართული სახელები. ეს გარემოება ძალიან საკვირველია, რადგანაც პარხლის აქეთა ხეობის ქართველთ კი დავიწყებიათ ქართული ენა.

კ ა რ ი ს მხარეშიაც (ყარსის ოლქ.) ბევრი ტაძრები აღშენდა და ერთი ამათთაგანი არის ჩ ი ლ დ ი რ ი ს ხეობაში, სოფ. ველში, დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ ჩილდირის ხეობას ამშვენებს და რომელიც გასაოცარს სანახაობას წარმოადგენს თავის სიგრძე—სიგანით და სიმაღლით. ეს ტაძარი და ხეობა შესანიშნავია მით უფრო, რომ ყარსის ოლქაში ქართველი ტომი მოისპო, აქ ქართველების აღარა არსებობს-რა, ხოლო ჩილდირის ხეობაში კი შეინახეს ქართველთ თავიანთი ენა და დღეს ყარსის ოლქაში მხოლოდ ჩილდირის ხეობაშიღაა ქართული ენა დაშთენილი. ეს ტაძარი ისეთ ალაგას სდგას და ისეთის ხელოვნების არის, რომ იგი ყოველ თავის მხილ-

ველ ქართველს დიდათ შეაწუხებს და ატირებს. აქ ბევრი ქართველ მოგზაურთაგანი ყოფილა და მწარეთაც შეწუხებულა.

ასეთსავე განსაცვიფრებელს სურათს წარმოადგენს სუმბატისაგან გაკეთებული დიდი ტაძარი ლიკანის ხეობაში, სოფ. ლოდის ყანაში, სადაც ეკკლესიის ერთს ქვაზე გამოჭრილია მზის საათი და აქა-იქ ეკკლესიის ქვებზე მრავალი ქართული წარწერანი. ტაძარი შიგნიდამ სოფიოს კენჭებით იყო შემკული. ეს ნაშთი შეიმუსრა ყოველ ნაირის ხელოვნებით მის დროს, როცა იგი ჯამეთ გააკეთეს და დღეს სულაც მოისპობა, რადგანაც შიგ ჯამე მოისპო და პატრონობაც მოაკლდა.

მთელ საქართველოში მეტათ საყურადღებო ტაძრათ ითვლებოდა მურღულის მახლობლივ შატბერტის ტაძარი, რომელსაც პორხლის მახლობლივ მდებარეობს და დღეს ესენი იმით ისაზღვრებიან, რომ შატბერდი რუსის სამფლობელოშია და პარხალი — ოსმალისაში. შატბერდი ძველათ დიდათ განთქმული და გაბრწყინვებული იყო სიმდიდრით და ეკკლესიის ხელოვნებით და ნაშენებით. ამ ტაძრის გვერდით იყო დიდი სასწავლებელი და ამავ სასწავლებლის მასწავლებელთა მეოხებით მთელს კლარჯეთში მოიფინა სამღთო სწავლა და წიგნების გადაწერა. შატბერდის ძმანი და მამანი დაუცხრომლათ მოღვაწეობდნენ წიგნების გადაწერაში და ამათ ბევრი ეკკლესია შეამკეს თავიანთის გადაწერილ ახლად თარგმნილ სასულიერო წიგნებით. ოსმალთა მრისხანებამ შატბერდი მთლად მოსპო და აღგავა. ქართლის მცხოვრები შატბერა-შვილები ანუ შატ-ბერა-შვილები იქიდამ არიან წამოსულნი XVII საუკ. დამდეგს.

ტბეთის ტაძარიც ხომ მეცხრე საუკუნიდამ დღევანდლამდის მთელათ და შეურყევლათ სდგას ტბეთის ხეობაში. ყოველ ჩვენთაგანმა კარგათ უნდა იცოდეს, თუ რაფერ ბრწყინავდა ეს ტაძარი და ან ამ ტაძრის გვერდით რა შესანიშნავი

სასწავლებელი ყოფილა დაარსებული, სადაც გამოჩენილთ მტბევართა მეოხებით ბევრი შესანიშნავი მწიგნობარი ქართველნი აღზრდილან, აქაურ მგალობელთა მამათა და ძმათა უფროსთ განუმშვენებიათ ქართული გალობა და ამისთვის მათ ნოტებიც შემოუღიათ, რომლის ერთმა ვრცელმა წიგნმა ჩვენ დროამდისაც მოაღწია. ამავ ტაძრის სასწავლებელში სწავლობდა მცირე ხანს შოთა (შიო) რუსთაველი. ოსმალთა მეოხებით ესეც გაუქმებულ იქმნა და შემდეგ ერთი ნაწილი ჯამეთ იქმნა გადაკეთებული. ამ ორი წლის წინეთ საღად დაშთენილს გუმბათს მეხი დაეცა და საბრალოთ დაარღვია. მშვენიერი რამ ნაშთია ეს ტაძარი და დღეს უპატრონოთ სდგას ტბეთის ხეობაში.

ასევე უწყალოთ გაოხრდა ანჩის ტაძარი და ამის ხეობაში 1630 წ. შემდეგ ქართველობაც მოისპო. გამოჩენილ ანჩის ეკკლესიის ხატი ტფილისში გადმოიტანეს და ცნობილს ანჩის-ხატის ეკკლესიაში დაასვენეს, რის გამოც ეწოდა ამ ეკკლესიას ანჩის-ხატი.

სამხრეთ კლარჯეთში მოისპო ვალაშკერტის საეპისკოპოზო ტაძარი, აქ სომხეთის საზღვარზე მოისპო ქართველობაც, გაქრა ქართველ ერის კვალი და ენა. აქა-იქ თითოოროლა სოფლის სახელები-ღა სჩანს. ასევე მოისპო კარელის (ყარსის) დიდებული ტაძარი და 500 მეტი სოფელი, სადაც მთლად გაქრა ქართველობა, გარდა ჩილდირის ხეობისა, სადაც მაჰმადიანები დღევანდლამდე ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. ძველათ კარის ნაწილში 100-მდე დიდი შესანიშნავი ტაძარი ითვლებოდა ქართველთა და დღეს მგონი მთელს ოლქაში 10 ნაშთიც აღარ მოიძებნოს.

შესანიშნავს ნაშთს წარმოადგენდა ძველათ ოპიზის ტაძარი, რომელიც დღევანდლამდე იხილვება შავშეთსა და მაჰახელს შუა. დიდს და შესანიშნავს სახსოვარს წარმოადგენდა კლარჯეთის დასავლის დადაშნელის და ბანელის ტაძრების ნაშთები, მაგრამ დღეს აქ ქართველობის აღარაფერი სჩანს,

აქ ქართველობა მოისპო ადრიდგანვე და ვინც დაშთნენ, ისინიც სულ გათათრებულ იქმნენ. დღეს ოლთისისკენ ისეთ სურათებს ნახავს კაცი, რომ ვერავინ იფიქრებს, თუ ოდესმე იქაურობა ქართველი ტომით იყო მოფენილი და ეს ადგილები ნამდვილს საქართველოს საკუთრებას შეადგენდა ძველის-ძველადგანვე. თითო-ოროლა ძველს ნაშთებს კაცი ისევ მიყრუებულს ტყეებში შეხვდება, რომელთა წარწერანიც ცხადათ მოწმობენ აქეთ ქართველთა კვალს. რომელი ერთი მოთვალოს კაცმა აქ და აღნუსხოს. ჩვენ არ ვიხსენიებთ სხალტას, ზარზმას და ბევრს კიდევ იმ ტაძრებს, რაც გაუქმებულ და მოსპობილ იქმნა მტრისაგან. მთელი ეს მხარე მოფენილი იყო შესანიშნავის ტაძრებით, სასწავლებლებით და მწიგნობარ კაცებით. ყველა ამაების აღსადგენათ და ასაღორძინებლათ კლარჯთ ძალა შესწევდათ და ამ ძალას ისიც ეხმარებოდა, რომ ამათ ჩრდილო-დასავლით წინ წასული საბერძნეთი საზღვრავდა და სამხრეთით—არმენია.

ბაგრატ მეოთხის შემდეგ საქართველო თითქმის კლარჯელთა მეოხებით იწყო განდიდება და ამაღლება. დიდებულმა დავით აღმაშენებელმა თითქმის კლარჯთა მეოხებით დასძრა საქართველოდგან არაბნი და გაანთავისუფლა ჩვენი სამშობლო. სახელოვანი თამარ მეფეც ვერა ღონის-ძიებით ვერ დააარსებდა ტრაპიზონის იმპერიას, რომ უპირველეს გმირებად კლარჯნი არ ყოფილიყვნენ. ამ მეფეს დღესაც კი ქართველ მაჰმადიანები თავიანთ მეფეს უწოდებენ და ესენი მის მოსვლასაც ელიან. ასეთს ცნობებიდამ კარგათ სჩანს ის, თუ კლარჯთა და ქართველ მეფეთა შორის როგორი სიყვარული უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული. კლარჯეთი იყო საქართველოს სიძლიერის ბჭე. აქ ძველის-ძველადგანვე მრავლად და ხშირად იბადებოდნენ გამოჩენილი გმირები. ასეთმა გმირებმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ უფრო იჩინეს თავი და ნამეტურ გამრავლდნენ ბაგრატოვანების აღორძინების შემდეგ. ასეთ შესანიშნავ გმირთა სახელების მოხსენებას რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავყვეთ, ეს მაშინ ერთობ შორს წავა. გავიხსენოთ მხოლოდ მიხეილ (გობრონ) ახალციხელი და მისი ას სამოცი გამოჩენილი გმირები. ამ გმირებთა მეოხებით მიაღწია საქართველომ იმ სიმაღლემდე, რომელზედაც იგი მეთორმეტე საუკუნეში დასდგა.

ქართველთ ყველა მსწავლული კაცებიც სულ აქ სცხოვრებდნენ, როგორც სასულიერო ბრძენი მწერლები, ისევე საერონი, თითქმის სულ აქაურები იყვნენ. V საუკ. ქართველთ მთარგმნელნი აქაურები იყვნენ, აქედამ წავიდნენ ესენი საბერძნეთში და იქ შეისწავლეს ბერძნული ენა და თარგმნა დაიწყეს. აქედამვე გაემგზავრა ვარაზ ბაკურის ძე მურვანოზი ბერძენთა იმპერატორთა წინაშე მძევლათ, რომელიც შემდეგ დიდის დიდებით აღმობრწყინდა, ბერძნულის ენიდამ სთარგმნა მრავალი შესანიშნი სამეცნიერო და საღვთო-საფილოსოფოსო წიგნები და შემდეგ ეპისკოპოზად იქმნა აღყვანილი მუამას კათედრაზე. აქაურივე იყო გამოჩენილი კირიონ (კიგრიონ) კათალიკოზი, კაცი ბრძენი, მწიგნობარი და მთარგმნელი, ქართულს ენაზე მრავალთა ძველთა სამღთო მეტყველთა და მეცნიერთა ნაწერების ავტორი, რომლის ნაწერებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. აქეთვე სცხოვრებდა და იმყოფებოდა სტეფანე მტბევარი (VIII საუკ.), ეპისკოპოზი, რომელმანც აღწერა მიხეილ (გობრონის) ახალციხელის ცხოვრება და რომელ ცხოვრებამაც ჩვენ დრომდისაც მოაღწია. აქედამვე გამოვიდა გამოჩენილი მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ახლად დაასრულა ქართულ სამღთო წერილთა თარგმნა. აქაურებივე იყვნენ გაბრიელ ქართველთ მთარგმნელი ექვთიმე მთარგმნელი, იოანე პეტრიწი კავკასიძე, ანუ ჭიმჭიმელი. აქაურებივე იყვნენ ყველა ჩვენი საერო მწერლებიც და მწერლებთა შორის შოთა რუსთაველიც, რომელმაც ადიდა ქართული ენა. აქაურივე იყო გამოჩენილი იოანე შავთელი, დაკით საათაბაგოელი და მრავალიც სხვა გამოჩენილი ბრძენი ქართველი მწერლები. ყოველ მონასტრის გვერდით მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდი არსებობდა ისეთის ბრძენ სამღთო მეტყველ მამების, რომლებიც ვრცელს ტომებს სწერდნენ, მაგალითად, როგორც მიქელ მოდრეკილი, იოანე ბერი, მწერალი შატბერდის კრებულისა და მრავალნიც სხვანი, რომელთ თარგმანთა და ნაშრომებს განცვიფრებაში მოჰყავს ყოველი ქართველი.

როგორც ბრძენ მწერალთა რიცხვით იყო ეს მხარე სავსე და მდიდარი, ისევე შემკული იყო ეკკლესიების ოსტატურათ მაშენებელთ ოსტატთა, მხატვართა, ინჟინერთა, ხუროთა და სხვების. ყველაზე დიდებით აქაურნი ოსტატ-ხელოვანი ხელოსნები მოიხსენებოდნენ. ესენი ჩინებულათ აკეთებდნენ ეკკლესიებს, შიგ ამკობდნენ შესანიშნავის მხატვრობით და გარეთ კიდევ ჩუქურთმის მჭრელნი ამკობდნენ ათას ნაირის ქანდაკებით, რომელთა ნიშნები დღევანდლამდეც კი სჩანს აქა-იქ. ეკკლესიებთა გარდა ციხე-კოშკების და გალავნების კეთებაც კარგათ სცოდნიათ, სახლების კეთებაც ასევე, როგორც ქვიტკირის, ისევე ხის. ამას დღევანდელი მათი სუფთა ნაშენი სახლებიც ამტკიცებენ. სახლებს გარდა ხიდებისა და ბოგირების კეთებაც კარგათ სცოდნიათ. დღესაც კი მოიპოვება აქა-იქ ძველის-ძველათ გაკეთებული ხიდები, რომელნიც მნახველველთ აკვირვებენ საოცრათ და ნამეტურ თანამედროვე ინჟინერთ. მაჭახლის ქვითკირის ხილვა, მანუნცეთის, დანდალოსი, ხულისა და სხვების, დღევანდელამდე შეურყევლათ სდგანან და კიდევაც დიდხანს დაშთებიან. კლარჯნი ყველა ამ მხრის ხიდების კეთებას თამარ მეფეს აწერენ. ვისაც კი ჰკითხავთ რამეს ამ ხიდების კეთების შესახებ, ყველა იმას გიპასუხებს, რომ თამარ მეფის გაკეთებულიაო. არხების გაყვანაც ხშირათ სცოდნიათ და მეტათ კარგათ.

ბაღოსნობაც კარგათ სცოდნიათ, ამის მეოხება არის, რომ აქეთ ხილი ძველათ ძრიელ მრავლობდა და ტყეები სულ მშვენიერის ხეხილით გაავსეს, რასაც დღევანდელი ხე-

ხილთ სიუხვეც ამტკიცებს. ღვინის დაყენებაც კარგათ სცოდნიათ აქეთ, ყოველ სოფლის მცხოვრებს თავის საკუთარი ვაზის ვენახი ჰქონდა და ღვინოს სწურავდა. ღვინის ქვევრებით და საწურავებით ხომ სავსეა დღევანდელი სოფლები და ნასოფლარებიც. მაგრამ ყველა ესენი შემდეგ დროებაში მოისპო ოსმალთა მეოხებით. პურისა, სიმინდის და ბრინჯის მოყვანაც უხვათ სცოდნიათ, პირუტყვის გამრავლება და ერბო-მატყლით ვაჭრობა. ფეიქრობაც წინ ყოფილა წასული, კაცებს გარდა ქალებიც ფეიქრობდნენ. ესენი აკეთებდნენ აბრაშუმს, ქსოვდნენ, რთავდნენ და ყოველ ნაირ ტანსაცმელს და სახლში სახმარებელს ხელცახოცებს, ფარდებს, ქეჩა-ხალიჩებს და სხვა საჭირო რამეებს ესენი აკეთებდნენ, ნამეტურ ამათში კარგათ იცოდნენ ოქრო-მკედით მოქარგვა, ქარგაზე მუშაობა და სამღვდელოთ სამოსთ კერვა და შემკობა, საეკკლესიო საჭირო ფარდების მომზადება დიდის ხელოვნებით, რომლის ნიშნები დღევანდლამდისაც არის ბლომათ დაშთენილი. ტანსაცმელთ გარდა ყოველნაირი იარაღის კეთებაც აქ იცოდნენ კარგათ და ნამეტურ სახლში საჭირო სახმარი ავეჯეულობის, ქვაბების კეთება, თუნგების, თიხის ჭურჭელი, ხის საჭირო ნივთების და ვინ იცის კიდევ რამდენი რა გინდარის არა. ყველა ამაებით ესენი იყვნენ პირველნი და მერე საქართველოს სხვს კუთხის ქართველნი. ამათგან სწავლობდნენ უკანასკნელნი, პირველობისთვის ამათ ხელს უწყობდა საბერძნეთის და სომხეთის სამზღვრები, მათთან მისვლა-მოსვლა და გონების სიფხიზლე. მაშ რისთვის შენიშვნენ ჩვენნი ძველნი მწერალნი მესხებს სიბრძნის მოყვარ-მოტრფიალეთ! ასე იყო ძველათ კლარჯეთი აღორძინებული და დაწინაურებული, ასევე იყო მასთან მთელი საქართველოს ერიც ამაღლებული. რამ ააშენა იმოდენა მონასტერ-ციხე-კოშკ-ეკკლესიები, თუ არ ერის საერთო კარგმა ცხოვრებამ და შეერთებულმა მეცადინეობამ... ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

257

ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა

მეფის ირაკლის მეორის დროს.

(დასასრული *)

მიზეზნი, რომელთაც იძულებული ჰყვეს მეფე ეთხოვა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა.

ჯერ ისევ უძველესი დროიდგანვე მოსლემანთ ერის მიერ შევიწროებულნი და შეწუხებულნი ქართველთა მეფენი თხოულობდნენ ხოლმე ერთმორწმუნე რუსეთის მეფეებისაგან მფარველობას და შველა-დახმარებას, მაგრამ გადაჭრით იმის თქმა კი ძნელია, რომ მათ რაიმე დამოკიდებულობის ქვეშ ყოფნის სურვილი ჰქონოდათ. ეხლანდელი ხელ-შეკრულობა კი გამოწვეულია შემდეგის გარემოებით. ქართლის სამეფო ტახტი, რომელზედაც ერეკლე ნადირ-შაჰის მიერ არს აყვანილი, ეკუთვნის ვახტანგ მეფის ჩამომავალთ, რომელნიც ცხოვრობენ რუსეთში. თავადმა ალექსანდრემ, ბაქარ ბატონიშვილის ძემ, ვახტანგ მეფის შვილი-შვილმა გამართა მიწერ-მოწერა ქართლელ თავადებთან, რომელნიც უკმაყოფილონი არიან მეფე ერეკლისა და დარწმუნდა, რომ მათი შემწეობით შეუძლიან მამა-პაპათა სამეფო ტახტის დაბრუნება და ქართლში გამეფება. ამ განზრახულებით დასტოვა

---

*) იხ. „მოგზაური“ 1902 წ. № 3.

ალექსანდრემ რუსეთი და მივიდა იმერეთის მეფე სოლომონთან, რომ ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაახლოებული ყოფილიყო აქედგან თანამოაზრე ქართველებთან და მეორე კიდევ იმიტომ, რომ გამოეთხოვა მისგან შველა-დახმარება, რაშიაც, რასაკვირველია, მოსტყუვდა. იმერეთიდგან ალექსანდრე წავიდა ახალციხის ფაშასთან და აქედგან ცდილობდა სპარსეთის ხანების შველა დახმარების მიღებას. მეფეს ჰქონდა საფუძვლიანი მიზეზი შეჰშინებოდა ქართლის ტახტის დაკარგვას და იმ დიდი უბედურობის გამო, რომელიც მოჰყვებოდა ამას; მით უფრო საშიში იყო ეს მისთვის, რომ იგი ქართლელებს არ უყვარდათ, რადგან თავის ერთგულ ქვეშევრდომ კახელებს უპირატესობას აძლევდა ყოველისფერში. აი ამიტომ მიმართა მან რუსეთის მთავრობას და ითხოვა, რომ რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთი მიეღო თავის მფარველობის ქვეშ და დაემტკიცებინა მისთვის და მის შთამომავლობისათვის მეფობა და მით მოესპო ალექსანდრე ბაქარის შვილისთვის და მისგვარ ტახტის მაძიებელთათვის ყოველგვარი შეძლება წამოდავებასა. დედოფალი კი აქედგან გამოელოდა თავის შვილებისათვის დიდ ბედნიერებას და სარგებლობას და იმიტომ დასთანხმდა რუსეთთან ხელ-შეკრულობის დადებაზედ. (თუმცა ამ ხელ-შეკრულობაზედ ყველანი თანხმანი იყვნენ, მაგრამ შემდეგ ყოველიფერში ამტყუნებდნენ მხოლოდ მეფეს და საქართველოს ყოველ უბედურობას მარტო მას ახვევდნენ თავზედ). თავადებს კი, რომელნიც მეფის რჩევა-თათბირში იღებდნენ მონაწილეობას, მარტო თავიანთი პირადი ანგარიშები ჰქონდათ სახეში და არა სამშობლოს სხვა რამ უპირატესობა. ანგარიშებით გატაცებულნი, არა ერთსა და ორს დღეს ოცნებობდნენ იგინი იმ პირად სარგებლობაზედ, რომელიც მათის აზრით მოჰყვებოდა ამას და საზოგადოთ კი ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ბედი გაუღიმებდა და ხელის გაუქნევლად ოქრო-ვერცხლით გაივსებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მდგომარეობა დამყარდა საქართველოში ჩვენის ჯარის გამოსვლის შემდეგ.

მთლად ადერბიჯანის ხანებს, თუ გინდ რომ შეერთებული ძალითაც იმოქმედონ მეფის წინააღმდეგ, რაიცა მათი ერთმანეთში უთანხმოების გამო შეუძლებელია, არ შეუძლიანთ დიდი ზარალი მიაყენონ მეფეს და თვით დაღესტანიც მისთვის საშიში არ არის, თუ კი, რასაკვირველია ოსმალეთის მთავრობა არ მოინდომებს საქართველოს დაპყრობას და თუნდ კიდევაც მოინდომოს, ახალ-ციხის ფაშა მას ამის ნებას არ მისცემს, რადგან დიდი ხანია ფიქრობს, თვითონ დამოუკიდებლად გახდომას. მისი საიდუმლოდ მეფესთან პირობის შეკვრა იმის შესახებ, რომ მან იშუამდგომლოს ჩვენ მთავრობასთან მის სასარგებლოდ, ვინიცობაა ჩვენ გავიმარჯვებთ, გვაძლევს მიზეზს ამ ნაირის დასკვნისას.

ძნელი არ არის აგრეთვე მცირედი ფულით დაღესტნელების შეკავება და საქართველოს დაცვა მათის აოხრეჩისაგან. მეფეს შეუძლიან ჯამაგირით მოიწვიოს იგინი სამხედრო სამსახურში და ამ ნაირი ძალით არამ თუ ადვილად დაიმორჩილებს ადერბიჯანის ხანებს, არამედ ძველებურად დაიმტკიცებს განჯას და ერევანსაც.

იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

განსვენებულ მეფე სოლომონს, ვაჟ-კაცობით და მამაცობით განთქმულს, თავის ხალხის გონიერ მართველს და იშვიათ მეფეს დიდი სურვილი ჰქონდა რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ შესვლისა; მას ისეთ ნაირად უყვარდა რუსეთი, რომ მის შესახები თქმული ცარიელი სიტყვაც კი სიამოვნების გრძნობას გვრიდა მას და მის მთავრობის სულ უბრალო მოხელესაც კი ღებულობდა დიდის პატივისცემით და თავაზით. თუმცა ოსმალეთის მთავრობისა სულ მუდამ

წინააღმდეგი იყო, მაგრამ სულეიმან ფაშასთან კეთილ-განწყობილებაში იყო, რადგან ძველი ჩვეულებით იგი მისგან ნაშვილები იყო. უკანასკნელმა, სულეიმან ფაშის თანხმობით ოსმალეთის ქვეშევრდომ-ოჩარების წინააღმდეგ, გალაშქრებაბ მოუსწრაფა სოლომონს სიცოცხლე, რომლის შემდეგაც აირია იმერეთში საქმეები და გახშირდა შური, მტრობა და სხვა-და-სხვა გვარი უთანხმოებანი.

მეფე სოლომონის და მეფე ერეკლეს შორის ჩამოვარდნილ უთანხმობის და განხეთქილების მიზეზნი იყვნენ სოლომონის ურჩი, გაუგონარი და ველური ზნე-ხასიათის შვილი ბატონიშვილი ალექსანდრე და ამგვარივე ზნე-ხასიათის ძმა მისი არჩილი, რომელნიც იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ იმერეთი და ჩამოსულიყვნენ ტფილისში, როგორც ეხლა იმერეთის ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ დავით არჩილის ძემ დასტოვა იმერეთი და თავი შეაფარა ტფილისში, სადაც მეფე ერეკლემ (როგორც ყოველთვინ ღებულობდნენ ხოლმე ერთი-მეორის მოწინააღმდეგეებს და მტრებს) მიიღო იგინი თავის მფარველობის ქვეშ. სამაგიეროთ ამისა მეფე სოლომონმა მიიღო ქართლიდგან ლტოლვილი თავადი ერისთვისშვილი, რომელსაც ბრალი ედებოდა მეფე ერეკლის წინააღმდეგ შეთქმულობაში და მიათხოვა მას ქალი და სხვა მრავალნი მეფის მოღალატე თავადნი. აქედგან იწყო მათ შორის უთანხმოების ნაკადულის დენამ, რომელიც არ შეწყვეტილა 1783 წლამდე, თუმცა ბატონიშვილის ალექსანდრეს და არჩილის გარდაცვალების შემდეგ იგინი, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, შერიგდნენ.

არჩილის შვილს დედითურთ (ერეკლეს ქალი ელენე) ჩამორთმეული ჰქონდა იმერეთში საუფლისწულო მამულები. ბოლოს, როგორც იყო მოვარიგე ორთავე მხარე. მეფე ერეკლეს შვილის-შვილი დავით არჩილის ძე, ჯერ ისევ შვილად იქმნა აყვანილი სოლომონის მიერ და ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული. ეხლანდელი მეფეც—მეფე სოლომონის

ბიძაშვილი — დავითიც დაბრუნდა იმერეთში და მიიღო უკან წინეთ წართმეული სოფლები. მეფე ერეკლემაც თავის მხრივ დაუბრუნა ერისთვიშვილს მის ქართლში განთქმულ ქონებიდგან რამდენიმე სოფელი.

სოლომონ მეფის მოულოდნელმა სიკვდილმა ჩაჰყარა ქვეყნის წარჩინებულნი საგონებელში ახალი მეფის არჩევის გამო. თავად წერეთელმა (პაპუნამ) თავისთა შორის დიდათ პატივცემულმა და სახელ-განთქმულმა, პირადი ინტერესებით გატაცებულმან, ისარგებლა მეფე სოლომონის სიკვდილით გამოწვეულ სხვათა მწუხარებით და კანონიერი მემკვიდრის, დავით არჩილის ძის, სოლომონის ძმის-წულის მაგიერ, გამოაცხადა იმერეთის მეფედ თავისი ცოლის ძმა დავით გიორგის ძე, რითაც ჩამოაგდო სამეფოში შინაური განხეთქილება, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დასრულდეს ერთერთის ტახტის მაძიებელის სიკვდილით. თავადი წერეთელი მოსტყუვდა თავის პირად ანგარიშებში და ვერ მიიღო ახლად გამეფებულ მეფისაგან, რის მიღებაც მას სურდა მის გამეფებით. ახალგაზრდა მეფე დავით გიორგის ძე ჩაიგდეს ხელში ქართლიდგან დევნილმა ერისთვიშვილმა სოლომონ მეფის სიძემ, დედოფლის დავითის მეუღლის ბიძამ და იქიდგანვე დევნილმა მღვდლის შვილმა ბესარიონმა *) და ნებას არ აძლევენ თავისუფალ მოქმედობისას. ასეთი მათი მეფეზედ ზედ-გავლენა აიხსნება, რასაკვირველია, უფრო იმით, რომ მეფე მეტად ახალგაზდა, გაუნათლებელი და გაუწვრთნელია, თუმცა კეთილი გულისა და მეტათ მამაცი და გამბედავი. თავადმა ერისთვიშვილმა, მეფე ერეკლის ჯავრის ამოსაყრელად, რომელმაც წაართვა მას მამა-პაპეული მამულ-დედული, ნება არ მისცა ახალგაზდა მეფეს დაებრუნებინა მეფე ერეკლის შვილის-შვილისთვის დავით არჩილის ძისათვის წართმეული საუფლისწულო მამულები, და ნათხოვნი სოფლებით

*) ბესიკმა—გაბაშვილმა. მთ. ა. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ციხეებით დაესაჩუქრებინა წერეთელი იმ ღვაწლის გამო, რომელიც მან გაუწია მეფეს გამოაცხადა რა იგი იმერეთის მეფედ, კანონიერ მემკვიდრის მაგიერ. მეფის ასეთმა საქციელმა იძულებულ ჰყო ახალგაზდა ბატონიშვილი დავითი გარეშე ეთხოვა შველა-დახმარება. მეფე ერეკლემ, ბატონიშვილის დავითის პაპამ, ჩემის თხოვნით, არ მიიღო ამ საქმეში პირდაპირი მონაწილეობა, რადგან შეიძლებოდა ამას გამოეწვია შინაური განხეთქილება და არეულობა; მან მხოლოდ წერილით სთხოვა მეფე დავითს და ურჩია კიდევაც დაეკმაყოფილებინა ბატონიშვილი დავითი საუფლისწულო მამულების დაბრუნებით. იმედებ გაცრუებული თავადი წერეთელი გადუდგა მეფეს და მიემხრო ბატონიშვილს დავითს და თავად წულუკიძეებს, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ აგრეთვე მეფისა, რადგან მათაც დაჰკარგეს წინანდელი ღირსება და უფლებანი და, მიუხედავად მეფე ერეკლის და ჩემის რჩევისა და დარიგებისა, ჩამოაგდეს შინაური განხეთქილება. მათ მიმართეს საშველად სულეიმან ფაშას, რომელმაც გაუგზავნა მათ ოსმალები და ლეკები და რომელნიც სრულიად დამარცხებულ იქმნენ მეფე დავითის-მიერ. მოწინააღმდეგეთ მეფემ ჩამოართვა ყველა სოფლები და მამულები. იგინი გამაგრდნენ ერთ მიუდგომელ ციხეში, საიდგანაც ბატონიშვილი დავითი მალვით გაიპარა ახალციხეში და იყო იქ დღევანდლამდე. ჩემი საქართველოდგან დაბრუნების წინეთ იგი გაგზავნილ იქმნა სულეიმან ფაშის მიერ იმერეთში, მხოლოდ დროის უქონლობის გამო ვერ შევიტყე, რა განზრახვით, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ იგინი ერთმანეთში ვერ მორიგდებიან. *)

---

*) ეს განხეთქილება დამთავრდა მეფე დავითის ტახტიდგან გადაუენებით და ბატონიშვილის დავით არჩილის ძის გამეფებით, რომელმაც იწყო მეფობა სოლომონ II-ს სახელით. მეფე დავით გიორგის ძემ რამდენჯერმე განიძრახა ახალციხის ფაშის, გურიელე-

სამეგრელოს დადიანი იმერეთის უბრალო თავად ჩიქოვანების გვარიდგანაა; იგი ფეოდალური მფლობელია ისე, როგორც გურიელი და ვალდებულია ემორჩილოს იმერეთის მეფეს, მაგრამ მან, როგორც გაუტანელმა და მუხთალმა კაცმა, ისარგებლა იმერეთის შინაურის არეულობით და თავის თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, რასაც სოლომონ მეფის დროს ვერ გაბედავდა. მეფე დავითისათვის საჭირო იყო მისი შველა-დახმარება და ამიტომ დაუთმო მას თავის მფლობელობიდგან ბევრი ადგილები. დადიანმა მიიღო რა მეფისაგან ეს ადგილები, გადუდგა მეფე დავითს, და მეფე დავითი, თუნდაც რომ დარჩეს იმერეთის ტახტზედ მოწინაღმდეგ თავადთა დამარცხებით და ძველი ჩვეულებისამებრ მათთან შერიგებით, მეფე ერეკლესთან მაინც არ ექნება კეთილი განწყობილება, ვიდრე უკანასკნელი არ დაუბრუნებს თავად ერისთავს წართმეულ სოფლებს; ეს კი ერეკლეს არ შეუძლიან, რადგან ეს სოფლები და მამულები დიდიხანია უკვე დაურიგა მან თავის შვილებს (ბატონიშვილებს).

ა. ტატუნაშვილი.

ბას და გრიგოლ დადიანის დახმარებით ტახტის დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, იგი გარდაიცვალა ახალციხეში 1795 წ. უგვიდისაგან.

ა. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საეკლესიო ისტორია.

პირველი ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში.

პირველი ცნობები მაცხოვრის დაბადების და ტანჯვის შესახებ საქართველოში (ქართლ-კახეთ-იმერეთში) გაავრცელეს ურიებმა (ებრაელებმა). ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა (594 წ. ქრისტემდის) დაასახლა ებრაელები თვისი დიდი სახელმწიფოს ყოველს ადგილში, სხვათა შორის, საქართველოშიც, რომელიც კარგა ხანს ემორჩილებოდა ბაბილონს. პირველად ებრაელები იმერეთში (დასავლეთს საქართველოში) დაესახლენ. შემდეგ მცხეთის უფროსი მამასახლისის ნებართვით ისინი დაემკვიდრენ აღმოსავლეთს საქართველოს სოფ. ხერკში და მტკიცე პირობა მისცეს მამასახლისს გადასახადი ყოველ წლივ ერთი ორად ეხადნათ და ქალაქებში არ დაბინავებულიყვნენ. როდესაც რომის იმპერატორმა ტიტემ (70 წ. ქრისტეს შემდეგ) გაანადგურა იერუსალიმი, ებრაელთა სატახტო ქალაქი, ბევრი ამათგანი საქართველოში გადმოსახლდა. ამასთანავე ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ნაბუქოდონოსორის დროზედ უფრო ადრე ებრაელები დასახლდნენ საქართველოში: ასურეთის მეფემ სალმანასარმა გაჰფანტა ისინი თვისს სამეფოს სხვა-და-სხვა ადგილში და სხვათა შორის—გადაასახლა აწინდელს იმერეთში. საქართველოში ურიები ერთგულად იცავდნენ თვისს სჯულს და მოუთმენელად მოელოდნენ აღთქმულს მესსიას. მათ ჰყავდათ აქ თვისი მღვდელ-მთავრები, მღვდლები და მასწავლებლები. იმათ გაამტკიცეს ქართველთა შორის ქართულის ენის საშუალებით ერთ-ღვთაების ჰაზრი. ქართველი ურიები არ ივი-

წყებდნენ თვისს დედა-ქალაქს იერუსალიმს და იქაურ მწიგნობრებს და მოძღვრებს. ყოველ შესანიშნავ შემთხვევის და საერო დღესასწაულის დროს ისინი ჰგზავნიდნენ თვისს წარმომადგენლებს იერუსალიმში, რომელიც, როგორც საზოგადო სიწმიდე, ერთობის გრძნობით აკავშირებდა მთელის დედა-მიწის ზურგზედ გაბნეულს ებრაელებსა... როგორც მოგვითხრობს ქართული საისტორიო წყაროები, მღვდელ-მთავარმა ანნამ წერილით აცნობა ქართველ ებრაელების მოძღვარს ელიოზს იერუსალიმში აღმოსავლეთიდამ მოგვების მოსვლა ქრისტეს თაყვანის საცემლად. იმავე მღვდელ-მთავარმა მოსწერა წერილი ელიოზს, რომლითაც იწვევდა იესო ქრისტეს ტანჯვაში მონაწილეობის მისაღებად... ელიოზს, იერუსალიმს წასასვლელად მომზადებულს, კეთილმსახურმა დედამ—სარრამ, რომელიც მოელოდა მესსიას, სულის წმიდის ჩაგონებით, უთხრა, რომ „იესო არის მოლოდინი წარმართთა და ნათელი ისრაილისა“ და ამისათვის სთხოვდა მას, არ მიელო არავითარი მონაწილეობა იმისს სასჯელში.

ელიოზმა თან წაიყვანა ლონგინოს კარსნელი *) და წავიდა იერუსალიმს. იმას გამოთხოვების დროს დამ სიდონიამ სთხოვა მოეტანა მისთვის რაიმე ნივთი სატანჯველად განწირულის ქრისტესი. ელიოზს, როგორც იტყვის საეკლესიო გარდმოცემა, ხვდა წილად გოლგოთის მთაზედ იესო ქრისტეს კვართი. ქართველი ებრაელები დარჩნენ იერუსალიმში მეერგარის (Пятидесятница) დღესასწაულამდის, როდესაც იერუსალიმს შეგროვილს მოწაფეებზედ გადმოვიდა სული წმიდა და მათ დაიწყეს სხვა-და-სხვა ენაზედ უბნობა...

ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ურიები აქ შეიტყობდნენ მას, რომ საქართველო ქრისტიანობის საქადაგებლად წილად ხვდა იესოს დედას ქალწულს მარიამსა. ელიოზი და ლონგი-

---

*) კარსნა ახლა ბატარა სოფელია არმაზის მთის ახლოს. ის დიდმიდგან სჩანს.

ნოსი და მათთან ერთად წასული სხვა ქართველი ურიები დაბრუნდნენ საქართველოში და ქართველს ერს მოუტანეს უძვირფასესი განძი საქრისტიანოსი, — კვართი იესო ქრისტესი და ამბავი იესოს აღდგომის, ამაღლების, სულიწმიდის მოსვლის და საქართველოს ღვთის-მშობლის წილად ხდომის შესახებ. ელიოზს მცხეთის ახლოს მიეგება დაჲ სიდონია და აუწყა მას დედის გარდაცვალება. მართლაც, როგორც იტყვის საეკკლესიო გარდმოცემა, ელიოზის დედა პასექის დღესასწაულის წინ პარასკევს, სწორედ იმ დღეს, როდესაც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, გარდაიცვალა ამ სიტყვებით: „მშვიდობით, მეფობავ ურიათაო, რამეთუ მოჰკალით მაცხოვარი თავისა თქვენისა და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მკვლელ და მტერ წემომქმედისა: ვაჲ, თავსა ჩემსა, რომ არ მეუფლა (არ მეწია) უწინარეს ამისსა სიკვდილი, რათამცა არღარა სმენილ იყო ყურთა ჩემთა და არცა-ღა შემდგომად ამისა ღირს ვიქმენ ხილვად (დანახვად) ნათლისა წარმართთა ზედა და მშვიდობა ისრაილისა“... სიდონიამ გამოართვა ძმას უზომო სიხარულით უფლის კვართი, მიიკრა ის გულზედ და უეცრად სული განუტევა... ვერას გზით ვერ გამოაცალეს კვართი სიდონიას. მაშინდელი საქართველოს სატახტო ქალაქის მცხეთის და მის მიდამოებში მცხოვრებნი შეგროვდნენ იმ ადგილს, სადაც გარდაიცვალა სასწაულებრივ სიდონია; აქვე მოვიდა ქართველთა მეფე ადერკი ანუ ფარსმანი (2 წ. ქრისტემდის—55 წ. ქრისტ. შემ.). ხალხი ბევრს ეცადა წაერთმია სიდონიასათვის კვართი, მაგრამ ვერ შესძლო... უეცრად გაირღვა მიწა, რომელმაც შთანთქა სიდონია კვართითურთ. ნეტარი სიდონიას გარდაცვალების ადგილს ამოვიდა კვიპაროსის ხე, რომელიც შემდეგში გახდა ქრისტიანობის ბურჯად საქართველოში. აქამომდე მცხეთაშია ამ ხის ფესვთა წიაღში კვართი უფლისა... *) ქართველთა ხალხმა ეს სასწა-

*) ბ. ანტ. ნატროშვილის რუსულს წიგნში: „Свэти-Цхо-

ულებრივი შემთხვევა დასახა თავისი ბრწყინვალე მომავლის წინდად, შეადგინა თქმულება ამის შესახებ, რომელიც ჩამომავლობითგან ჩამომავლობას გარდაეცემოდა, როგორც ძვირფასი საეროვნო საუნჯე. საეკლესიო გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ სული-წმიდის მოფენის შემდეგ, იესოს მოციქულებმა და მათთან ერთად ღვთის-მშობელმა ჰყარეს წილი იმის შესახებ, თუ ვის რომელი მხარე შეხვდებოდა ქრისტიანობის საქადაგებლად... ღვთის-მშობელს წილად ხვდა ივერია ანუ საქართველო. მაგრამ თვისს მაგივრად ღვთის-მშობელმა გამოგზავნა საქართველოში წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელსაც მან მისცა თვისი ხატი... თქმულება იმის შესახებ, რომ საქართველო წილად ხვდა ღვთის-მშობელს, ფრიად გავრცელებული იყო ქართველთა შორის. თითოეული ქართველი კეთილშობილურად თავს იწონებდა იმითი, რომ მისი სამშობლო „ღვთის-მშობლის“ ხვედრად, მხარედ ითვლებოდა.

წმ. ანდრია პირველ-წოდებულმა, როგორც მოწმობს ქართული და ბერძნული საისტორიო ნაწერები, იქადაგა ქრისტიანობა შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებში, სხვათა შორის, პონტოში, სკვითიაში და აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში); განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია წმ. მოციქულმა სევასტოპოლის ქალაქს, რომელსაც ძველად „დიოსკურია“ ერქვა და აწინდელის სოხუმის ახლოს მდებარეობდა. იგი ქართველთა მეფის ფარსმანის დროს მოვიდა ტრაპიზონს და აქედან ქართლის ქალაქს დიდ-აჭარას, რომლის მცხოვრებნი მოაქრისტიანა. ამ ქალაქის მიდამოებშიაც იქადაგა მან ქრისტიანობა, აღუშენა ახლად მოქცეულებს ღვთის-მშობლის სახელზე ტაძარი და დაუნიშნა მღვდლები...

ველი“ ვრცლად არის განმარტებული უფლის კვართის შესახებ მოთხრობა. ამავე წიგნში დამტკიცებულია საეუძლიანად ჭაზრი, იმის შესახებ, რომ ეს კვართი საქართველოდგან არავის გაუტანია.

აქედან წამოსულმა წმ. ანდრიამ ერთს მთაზე აღმართა რკინის ჯვარი, რის გამო ამ მთას რკინის ჯვარს ეძახიან აქამომდე. სამცხის სოფ. ზადენ-გორაში მან ნახა გაძლიერებული კერპთ-თაყვანის-მცემლობა, თვით სოფლის სახელი უჩვენებს, რომ მისს მთაზე აღმართული იყო ზადენის კერპი, რომელსაც საქართველოში თაყვანს სცემდნენ *). ამ მხარეშივე აწყურის ახლოს წმ. მოციქულმა აღადგინა მკვდრეთით დედოფლის სამძივარის ერთად-ერთი შვილი. ამ სასწაულის ზედ-გავლენით სამძივარმა, მისმა შვილმა და ხელქვეითმა ხალხმა მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება. ქრისტიანობა მიიღეს ადგილობრივ კერპების არტემიდას და აპოლლონის ქურუმებმაც, რომელთაც გაუკვირდათ შემდეგი სასწაულებრივი შემთხვევა, რომლის შესახებ თქმულებაა ქართულს მწერლობაში. ამ კერპთა ტაძარში დასვენებულ იქმნა ღვთის-მშობლის ხატი. ტაძარი ქურუმებმა დაკეტეს და შიგ არავის უშვებდნენ. ერთს დილას ქურუმები შევიდნენ და კერპები დამსხვრეული დაინახეს; ღვთის-მშობლის ხატი კი თვისს ადგილს იყო დასვენებული და საუცხოოდ ბრწყინავდა. ამ სასწაულმა დაარწმუნა ქურუმები კერპების უძლურებაში და ისინი მოინათლნენ. წმ. ანდრიამ აწყურში დაარსა სამღვდელ-მთავრო კათედრა, რომლის ტაძარში დასვენებულ იქმნა მისგან საქართველოში მოტანილი ხატი ღვთის-მშობლისა. აწყურიდან წმ. ანდრია ქრისტიანობის საქადაგებლად წავიდა ნიგლას, არტაანს და კოლას, აქედან კლარჯეთს და კლარჯეთიდან იერუსალიმს პასექის დღესასწაულზე დასასწრებლად... საქართველოში ანდრია მოციქული რამდენისამე წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და თან მოიყვანა წმ. მოციქულები: სიმონ მოშურნე (კანანელი), მატათა და თადეოზი. წმ. ანდრიამ გამოიარა აწინდელი გამაჰმადიანებული საქართველო, გურია, სამეგრელო და შევიდა სვანეთში, რომლის დედო-

*) იხ. ქვემოთ „წმიდა ნინო“.

ფალმა მიიღო ქრისტიანობა... აქედან წმ. მოციქული აფხაზეთს გადავიდა, სადაც იმ დროს ესახლა მეგრელთა ტომი, რომელიც ფრიად გავრცელებული იყო ძველ დროში შავი ზღვის ნაპირებზე თვით ტრაპიზონამდის. მეგრელების მეზობლები იმ ჟამად, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით, აფხაზთა ტომი იყო, რომელიც შემდეგში მოაწვა მეგრელებს, შეავიწროვა ისინი და თვით დაისაკუთრა მათი სამშობლოს თითქმის ნახევარი მიწა-წყალი (მე-II საუკ. ქრისტეს შემდეგ). მეგრელთა ქალაქი იყო იმ დროს სევასტოპოლი (დიოსკურია), სადაც კარგა ხანს ჰქადაგებდა ქრისტიანობას წმ. ანდრია... ამანვე, როგორც იტყვის გარდმოცემა, დაამხო კერპები და შემუსრა საკერპო აწინდელს მარტვილში, სადაც იდგა ერთი საღმრთო მუხა, რომელსაც ერქვა ჭყონი დიდი (მუხა დიდი)... აქ წმ. მოციქულმა დაამყარა ქრისტიანობა. მთელმა დასავლეთის საქართველომ მიიღო ქრისტიანობა წმ. ანდრიას და მის შემდეგ უახლოეს დროს. დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოს ეკლესიას იმ თავითვე დასავლეთის ქართველებმა,—დასავლეთის საქართველოს მთავარ-ეპისკოპოსი, ჭყონდიდლად წოდებული, მეთერთმეტე საუკუნემდის ითვლებოდა მთელი ამ მხრის კათალიკოსად და დამოკიდებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან... დასავლეთის საქართველოს ქართველნი ძველთაგანვე გახდნენ ერთგულ მესვეურებად სახარების სწავლისა,—მათი მღვდელ-მთავრები ცნობილნი არიან მსოფლიო ეკკლესიის ისტორიაში,—ისინი მსოფლიო მღვდელ-მთავრებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ამ ეკკლესიის ცხოვრების სხვა-და-სხვა საკითხის გადაწყვეტაში და ესწრებოდნენ მსოფლიო კრებებსა. დასავლეთ საქართველოდამ წმ. ანდრია პირველ-წოდებული და სიმონ კანანელი გადავიდნენ ჯიქეთში; მატათა კი დარჩა სამეგრელო-სვანეთში. ჯიქეთის მკვიდრთ არ მიიღეს ქრისტიანობა.—წმ. ანდრია დაბრუნდა სამეგრელოშივე და აქედამ ოსეთში გაემგზავრა სვანეთის გზით. სიმონ კანანელი კი აფხაზეთში დარჩა და აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობდა. ოსეთიდამ წმ. ანდრია პირველ-წოდებული მივიდა ფასტაფორს, — შემდეგ კი — ბოსფორში, სადაც ბევრი ხალხი მოაქრისტიანა. ბოსფორიდამ თეოდოსიის ქალაქს მივიდა (ყირიმში), სადაც მეფედ იყო სავრომატი, იქადაგა ქრისტიანობა ხერსონესშიც. — აქედგან წმ. მოციქული, რუსეთის ეკლესიის გარდმოცემის თანახმად, დნეპრის მდინარეს აჰყვა და იქადაგა ქრისტიანობა რუსეთის სამხრეთ ნაწილში, ესრეთ წოდებულს სკვითიასა და სარმატიაში. წმ. ანდრიამ მიაღწია აწინდელს კიევამდის; აქ ერთს მთაზედ აღმართა ხის ჯვარი და წინასწარ თქვა, რომ აქაურს მთებს გამოუბრწყინდებაო საღმრთო მადლი. შემდეგ წმ. მოციქული ახაიის ქალაქს პატრასში მივიდა, სადაც ჯვარცმულ იქმნა. წმ. ანდრია პირველ-წოდებულმა დააარსა საქართველოს ეკლესია. წმ. გიორგი მთაწმინდელი, ქართველთა შესანიშნავი მოღვაწე, ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის დაარსებას წმ. ანდრიას მიერ და ამ ეკლესიას სთვლის სამოციქულო ეკლესიად.

ამავე ჰაზრს გამოსთქვამს რუის-ურბნისის კრება, წმ. მეფის დავით აღმაშენებლის-მიერ მოწვეული 1103 წელსა, შემდეგ სიტყვებში: „პირველ-წოდებული ანდრია, ძმა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და ქადაგა... სატხოვრებელი ქადაგებაა სახარებისა ეოველსა ქვეყანასა საქართველოსასა და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორა სატთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა“.

ზოგიერთი მეისტორიენი (მარრი, ჯავახიშვილი) უარს ჰყოფენ საქართველოში წმ. ანდრია მოციქულისაგან ქრისტიანობის ქადაგების შესახებ თქმულებას და სთვლიან მას განძრახ შეთხზულად — ქართველი მოღვაწეების-მიერ სხვა-დასხვა მიზნის მისაღწევად... ამ მეისტორიეთ ჰაზრი შესაწყნარებელი არაა. ცნობებს, დასარღვევად იმათის ჰაზრისა, ამოვკრებთ რუსთა შესანიშნავი საეკლესიო მეისტორიების მაკარის და გოლუბინსკის თხზულებებიდგან... ჩვენ ვთვლით ნამდვილ ისტორიულ ჭეშმარიტებად იმ თქმულებას, რომელიც უჩვენებს წმ. ანდრიას მოციქულებრივს მოღვაწეობას ძველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკვითიაში (ეხლანდელი ნოვოროსსისკის მხარე), ძველს სარმატიაში (აწინდელი კავკასია) და ძველს იბერიასა, კოლხიდასა და აფხაზეთში (ამიერ-კავკასიის მხარე). ამ ჰაზრის დასამტკიცებლად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ძველთა მწერალთა მოწმობანი. ორი ამ მოწმობათაგანი ეკუთვნის მესამე საუკუნის დასაწყისს და თვით მოციქულთა დრომდის მიაღწევს... ერთი მათგანი ეკუთვნის წმ. იპოლიტეს, პორტუენის ეპისკოპოზს (222 წ.), რომელიც წმ. ანდრიას შესახებ ამბობს, რომ „სკვითიასა და ფრაკიაში იქადაგაო ქრისტიანობა". ამასვე მოწმობს შესანიშნავი ორიგენი (200—254).. წმ. დოროთეოსი, ტიროსის ეპისკოპოსი (307—322), სწერს შემდეგს წმ. მოციქულის ანდრიას შესახებ: „ანდრიამ, პეტრე მოციქულის ძმამ, გაიარა ქადაგებით ბითინია, ორკია და სკვითია; შემდეგ მიაღწია დიდს სევასტოპოლს (სოხუმის ახლოს), სადაც არის ციხე აფსარი და მდინარე ფაზისი (რიონი), რომლის ნაპირებზედ სცხოვრობენ შინაგანი ეთიოპელები... აქედგან ცხადად სჩანს, რომ წმ. ანდრია მოციქულმა იქადაგა ქრისტიანობა აფხაზეთში, სადაც იყო ქალაქი სევასტოპოლი (დიოსკურიად წოდებული)... ჩვენ ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ კოლხიდას, სადაც წმ. დოროთეოსის მოწმობით, ქრისტიანობა იქადაგა წმ. ანდრია მოციქულმა, ძველი მწერლები უწოდებენ მეორე ეთიოფიას (შინაგანს ეთიოპიას *). დოროთეოსის თხზულება მოციქულთა შესახებ დამყარებულია ძველს ბერძნულს და ებრაულს საბუთებზედ. ვისაც საეჭვოდ მიაჩნია **) დოროთეოსის თხზულება, შეუძლია მიმართოს კვირპროსის ეპისკოპოსს ეპიფანეს († 403 წ.), რომელიც იმასვე ამბობს წმ. ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ,

---

*) მაგალ. შწერალი სოფრონი (Крат. ист. Груз. п. Іоселіани, стр. 3).

**) ამ თხზულებას საეჭვოდ სთვლიან რომის ეკლესიის წარმომადგენელნი, მაგრამ ამასთანავე დასძენენ, რომ ეს თხზულება დაწერილია მეხუთე საუკუნის კასუდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც ამბობს დოროთეოსი. სოფრონი († 390) ამბობს წმ. ანდრიას შესახებ შემდეგს: „წმ. ანდრიამ იქადაგა ქრისტიანობა დიდს სევასტოპოლში, სადაც ორის ციხე აფსარი და მდინარე ფაზისი (რიონი), რომლის ნაპირებზედ სცხოვრობენ შინაგანი ეთიოპიელები. ნიკიტა პაფლაგონელი († 873 წ.) იმეორებს მას, რასაც იმის წინად მცხოვრები მწერლები ამბობენ წმ. ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში. აი შესხმა, რომელსაც იგი უძღვნის ამ მოციქულს: „შენ, ღირსო სრულის ჩემის თაყვანის-ცემისა, ანდრია, რომელსაც წილად გხვდა ჩრდილოეთი, უერთგულესად მოვლე ქვეყნები ივერთა, საკრომატთა, ტავრთა და სკვითთა და გაიარე ყველა ოლქები და ქალაქები, რომელიც ჩრდილოეთით და სამხრეთით არტყავს შავს ზღვასა“ *).

ასეთის საბუთების შემდეგ დიდს სითამამედ მიგვაჩნია უარყოფა წმ. ანდრიას-მიერ ქრისტიანობის ქადაგებისა საქართველოში, განსაკუთრებით მისს დასავლეთს ნაწილში, რომელიც ძველად ტრაპიზონის ქალაქამდის მიაღწევდა... ამის გამო საქართველოს ისტორია ვერ უკუაგდებს მოთხრობას წმ. ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ ქართველთა შორის, თუნდ ეს თქმულება ერთს მხოლოდ საეკლესიო გარდმოცემაზედაც იყოს დამყარებული... მით უმეტეს ვერ უკუაგდებს მას მაშინ, ოდეს მას ზემოდ მოყვანილი უტყუარი საბუთები ექნება... პლატონ იოსელიანის სიტყვით, წმ. ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში მოწმობდა ერთი სპარსულს ენაზედ დაწერილი ამ მოციქულის ცხოვრების აღწერა, რომელიც თვალით უნახავს მას 1834 წელსა პეტერბურღში მეფის ძის ბაქარისას **).

---

*) მართლაც შავი ზღვის ნაპირები ხვდა წმ. ანდრიას წილად ძველთა თქმულებათა თანახმად (Голубинскій, т. I, 5).

**) Жизнеописаніе святыхъ грузинской церкви, 1850 г. стр. 6.

წმ. ანდრია პირველ-წოდებულის († 55 წ.) გარდა საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა წმ. მოციქულმა სიმონ კანანელმა (მოშურნემ), რომელიც თან გამოჰყვა წმ. ანდრიას საქართველოში. ხსენებულმა მოციქულმა დიდი ღვაწლი დასდო დასავლეთ საქართველოს მოქრისტიანებას. მის ადგილ-სამყოფელი იყო სევასტის ქალაქი (სოხუმის ახლოს). საქართველოს დასავლეთს ნაწილში იქადაგა ქრისტიანობა აგრეთვე წმ. მოციქულმა მატათამ, რომლის შესახებ ნეტარი იერონიმე იტყვის, რომ მან იქადაგაო ქრისტიანობა „მეორე ეთიოპიაში". მეორე ეთიოპიას ძველი მწერლები (მაგალ. სოფრომი) კოლხიდას (დასავლეთს საქართველოს) უწოდებდნენ... მაგრამ მალე დაუწყო საქართველოს მმართველობამ ქრისტიანობას დევნა. მეფე ადერკი († 55 ქრისტ. შემდ.) დიდი მეგობარი იყო რომის ხელმწიფის ნერონისა, რომელიც მრისხანედ სდევნიდა ქრისტიანობას. ადერკიმაც საქართველოში დაუწყო დევნულება ქრისტიანებს. ამ დევნულების მსხვერპლი შეიქმნა წმ. მოციქული სიმონ კანანელი, რომელიც მოკლულ იქმნა აფხაზეთში (მაშინდელს სამეგრელოში) და დაფლულ იქმნა მორწმუნეთაგან ნიკოფსიაში, იქ, სადაც დღეს აღშენებულია ამ მოციქულის სახელზედ ახალ-ათონის მონასტერი, ქალაქ სოხუმის ახლოს. წმ. მოციქულის მატათას შესახებაც იტყვია (მ. საბინინი), რომ ისიც წამებულ იქმნაო ადერკი მეფის დროსვე სვანეთში. წმ. ბართლომე მოციქულიც წამებულ იქმნა ამავე დროს ალბანიაში. ზოგიერთნი წმ. ბართლომენ საფლავს უჩვენებენ დიდ სომხითის ქალაქს ალბანოპოლში (ბაქოში)... მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ თქმულება ბართლომეს ქადაგების შესახებ ალბანიაში საეჭვოდ მიჩნეულია *). სახარების სწავლამ თვისი გავლენა იქონია ქართველებზედ... ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნის გასულს ალს

---

*) Ист. Арм. церкви А. Аннинскій, стр. 5.

ბანიაში (კახეთი) წამებულ იქმნენ ხრისო და ოთხი მისი მოწაფე. ხოლო სუქიოს და მისი თვრამეტი მოწაფე განაგრძობდნენ ხრისოს ღვაწლსა ალბანიაში. ალბანიის მეფემ დატიანოსმა უბრძანა მთავარსა ბარლაპას მოსძებნოს სუქიოსი და მისი მოწაფეები. ამ მეფეს სურდა მოესპო ქრისტეს სარწმუნოება თვისს სამეფოში და ამიტომ განიძრახა ძალა დაეტანებინა მათთვის და ეთქმევინებინა უარი ქრისტეზედ. ბარლაპამ მოსძებნა წმიდანნი, რომელნიც მყუდროებით სცხოვრებდნენ სუკაკეტის მთაში სოფლის ბაგრევანდის ახლოს და უბრძანა მათ დაბრუნებულიყვნენ მეფესთან და მიეღოთ წინანდელი თანამდებობანი. მაგრამ მათ უარ-ჰყვეს საამქვეყნო პატივი და დიდება. განრისხებულმა ბარლაპამ უბრძანა ჯარის კაცებს თითოეული მათგანი მიეკრათ ოთხი მანასთვის (პალო, მომცრო მარგილი), მოეტანათ შეშა და ცეცხლით დაეწვათ... მათ რიცხვში გამოირჩეოდა წმ. კოდრატოსი. ამ მოწამეებს ეწოდებს საქართველოს ეკლესია „სუკაკეველებს“ (სუკაკეთის მთას მცხოვრებნი) და მათ ხსენებას იგი პატივსა სცემს თხუთმეტს აპრილს *).

ზოგიერთი წმ. მამებიც შრომობდნენ საქართველოში ქრისტიანობის დასამყარებლად... წმ. კლიმენტოსი, რომის ეპისკოპოსი (100 წ. ქრ. შემდ.) განდევნილ იქმნა მეფის ტრაიანეს-მიერ ხერსონის ქალაქში, რომელიც შავის ზღვის ნაპირს მდებარეობდა; აქედგან მას დიდი გავლენა ჰქონდა ბოლხიდელებსა და ივერიელებზედ (აღმოსავლეთის და დასავლეთის ქართველებზედ **). წმ. კლიმენტოსმა კაპადუკიაში დააარსა ასი ეკლესია... წმ. იოანე ოქროპირს, ტრაპიზონის

---

*) მათი ცხოვრება აღწერილია მ. სამინინის „საქართველოს სამოთხეში“.

**) ირინეი, ბარონი (Кратк. ист. Груз. ц. Іоселіани, стр. 7—8).

ეპისკოპოსებს ფილოლოგს, ფოტის, მელეტის, ანსიკრიტს, ვასილი დიდს და გრიგოლ ღვთის-მეტყველს, თვისის წმიდა ცხოვრებით და მოღვაწეობით დიდი გავლენა ჰქონდათ ქართველებზედ. რომ დასავლეთს საქართველოში მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ქრისტიანობა გავრცელებული იყო, ეს მტკიცდება იმითი, რომ კოლხიდის მღვდელთმთავრის პალმის ძე მარკიონი სწორედ ამ დროს სცხოვრებდა და ითვლებოდა მწვალებლად, რომელსაც თავისებურად ესმოდა იესო ქრისტეს მოძღვრება. ნეტარი იერონიმე მარკიონის სამშობლოს უჩვენებს კავკასიაში .). ზოგიერთი ეპისკოპოსები კოლხიდისა და მის ახლოს მდებარე ქვეყნებისა მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო ეკკლესიის საქმეების შესახებ მსჯელობაში, მაგალითად, იპატი, სტრატოფილი, ეპაციანე და სხ... წმ. დიდი მოწამის გიორგი კაპადუკიელის მოწამებრივს სიკვდილს (III საუკუნეში) ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა ქართველებზედ. კაპადუკიაში სხვათა შორის სცხოვრობდნენ ქართველებიც მეგრელთ ტომისა, და წმ. გიორგიც უეჭველად იმათს ტომს ეკუთვნოდა. მეზობლად მცხოვრებმა ერმა სომხითისამ თითქმის ქართველებთან ერთ დროს მიიღო ქრისტიანობა და ამ გარემოებასაც ჰქონდა საკეთილო გავლენა ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეზედ.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს შემდეგ საქართველო რომის ხელმწიფეს ემორჩილებოდა. რომის ხელმწიფე ნიზიბიის ხელშეკრულობის ძალით, რომელიც მოხდა ხსენებულს საუკუნის დასაწყისში, ვალდებული იყო დაენიშნა საქართველოს მეფეები; სომეხთა მეფის თრდატის ასული სალომე ცოლად ჰყავდა საქართველოს მეფის მირიანის ძეს რევსა, რომელიც კახეთის მეფედ ითვლებოდა. სპარსნიც მტრობას არ უწევდნენ მირიანს, რომელიც სპარსეთის მე-

---

*) იქვე... გვ. 8.

ი. 39/1. ი. 39/

ფის ძე იყო. ესრედ ყოველივე უწყობდა ხელს საქართველოში ქრისტიანობის დამყარებას. ბერძენთა, ქართველთა და სომეხთა შორის პოლიტიკური ერთობა არსებობდა... ქართველს მეფეებს თვისს მეგობრებად სთვლიდნენ რომის ხელმწიფენი. ამის გამო, სანამ რომის სახელმწიფოებში სდევნიდნენ ქრისტიანობას, საქართველოშიც მკვიდრად ვერ მოიკიდა მან ფეხი. როდესაც რომის ხელმწიფემ კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა (313 წ.), საქართველოშიც ამის შემდეგ მალე დამკვიდრებულ იქმნა ქრისტეს სარწმუნოება. მეფე მირიანი საქართველოსთვის იგივე იყო, რაც წმ. კონსტანტინე მთელის რომის სახელმწიფოსთვის. ამის გამო მირიანს საქართველოს ეკკლესია უწოდებს მოციქულთა სწორს წმ. მეფეს.

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება).